# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№8 (9840) 2025 წლის 24 იანვარი, პარასკევი.

ფასი 1 ლარი


ტიერი მარიანი

## შეწყვიტეთ ზეწოლა საქართველოზე



5



2



ირაკლი კობახიძე:

## ბიძინა ივანიშვილი ერთი წუთითაც არ დათმობს ამ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს!

ჩვენ გვაქვს ღირებულებითი თანხვედრა აშშ-ის ახალი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან

## შეძლებს თუ არა ტრამპი 100 დღეში უკრაინის ომის დასრულებას?!

4





ზაზა ქინქლაძე

არნახულად ახლოსა ვართ
ახლა მე და უფალი...

9

## ჩემი პოეზიარება

თავს ვიტყუებ, არ გამომდის ღვთიურ-რელიგიურობა,
ჩემი საქმე სიმღერაა, ნადირობა, ლექსი, თრობა,
თევზაობა, მეზვრეობა, ძმობა და ალავერდობა,
ყვავილების სანთლობა და ბალახების ხავერდობა...
კაცთან არ მიკადრია და ღმერთს ვაკადრო პირფერობა?!
ერთი კია – ალალ გულით მენატრება ქრისტეს ძმობა.
მუზა-ღვთისთვის აღსარება ლექსად მოემზიანება,
ქვეყანაზე ეს დამრჩება – ჩემი პოეზიარება.

## ანდრო ანთელაძე მანუს კვალზე

10



## SOS!

## გვსუსხავს დემოგრაფიული ზამთარი

5





## გერმანიაში აღმოჩენილი საქართველოს უნიკალური რუკა

12



# ბიძინა ივანიშვილი ერთი წუთითაც არ დათმობს ამ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს!

## ირაკლი კობახიძის გუშინდელი ბრიფინგიდან

**გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტთა კითხვებზე საპასუხოდ განაცხადა:**

**...ᲗᲥᲕᲔᲜ გახსოვთ ასევე დისკუსია გამჭვირვალობის შესახებ კანონის გარშემო. მაშინ ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდით, მაგალითად, რუსეთს და დასავლეთს. ჩვენ ვამბობდით მარტივ რამეს – მნიშვნელობა არ აქვს, ვინ საიდან უპირისპირდებიან ქვეყნის ინტერესებს. თუ ამერიკული ფული გამოიყენება ქვეყანაში არასწორი პროცესების წარსამართად, რა თქმა უნდა, აქაც უნდა დაიცვას ქვეყანამ საკუთარი ეროვნული ინტერესები, ისევე, როგორც რუსეთიდან რომ ხდებოდეს იგივე რამ. არავითარი განსხვავება არ არის, ქვეყანას აქვს სუვერენიტეტი და სუვერენიტეტი უნდა იყოს ყველასთან მიმართებით დაცული. ეს ძალიან კარგად წარმოაჩინა პრეზიდენტ ტრამპის შესაბამისმა გადაწყვეტილებამ.**

გამოჩნდა პირდაპირ, რომ ამერიკული თანხები ხშირ შემთხვევაში გამოიყენებოდა არასწორი პროცესების დასაფინანსებლად, კონკრეტული ქვეყნების სუვერენიტეტის შესარყევად. რასაც ჩვენ ვამბობდით და რაზედაც გვაკრიტიკებდნენ, რომ ერთ სიბრტყეზე ვაყენებდით, მაგალითად, რუსეთს და ამერიკას, ჩვენი მსჯელობის სისწორე დაადასტურა პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებამ და პირადად პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ...

* * *

**ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ძალები უზრუნველყოფენ იმას, რომ კონკრეტულმა ადამიანმა ჩაიდინოს დანაშაული, წაიღოს თანხები ამ დანაშაულის შედეგად და შემდეგ ახარჯვინებენ ამ თანხებს პოლიტიკური მიზნებისთვის**, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბაჩიაშვილის საქმესთან დაკავშირებული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

დიახ, თავად დანაშაულის დეტალებზე უნდა იმსჯელოს შესაბამისმა უწყებამ, სასამართლო ხელისუფლებამ, მაგრამ ზოგადად ხელწერა არის აბსოლუტურად ნათელი და გამოკვეთილი. ასეთი ხელწერით მოქმედებენ ისინი სხვა შემთხვევებშიც. თქვენ იცით, რომ იგივე კეზერაშვილის შემთხვევა, როდესაც მას მოაპარვინეს ჯერ ფული ჩვენი ჯარის ხარჯზე, ბიზნესის ხარჯზე, შემდეგ ევროპელი პენსიონერების ხარჯზე, შემდეგ უკვე ამ მოპარულ ფულს ახარჯვინებენ პოლიტიკური მიზნებისათვის, ზუსტად იგივე ხელწერა იკვეთება ბაჩიაშვილის შემთხვევაშიც.

* * *

**ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲐᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.**

* * *

**ᲘᲧᲝ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲐᲜᲙᲘᲔᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲐᲪ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ...**

„**ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ** აშკარაა, რომ ამ ყველაფერს აქვს მკაფიოდ პოლიტიკური საფუძველი. თქვენ იცით, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ანგარიშის ძარცვა დაიწყო 2008 წელს, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა უარი თქვა ყოველგვარ კომუნიკაციაზე მიხეილ სააკაშვილთან.

რაც შეეხება ახალი ეტაპის პრობლემებს, ეს პრობლემები შეიქმნა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, როდესაც საქართველოს მიმართ წამოვიდა კონკრეტული მოთხოვნა, რაზეც ჩვენ არ დავეთანხმეთ შესაბამის სუბიექტებს და ამასთან დაკავშირებით წარმოექმნა პრობლემები ბატონ ბიძინა ივანიშვილსაც, როდესაც გაიყინა თანხები მის ანგარიშზე შვეიცარიულ ბანკში. ეს არის თავიდან ბოლომდე პოლიტიკური. საერთაშორისო მედიაში რა კოორდინაციასაც ვხედავთ, რა თქმა უნდა, ამასაც აქვს თავიდან ბოლომდე პოლიტიკური საფუძველი. ეს ყველაფერი გამოიყენებოდა შანტაჟის ინსტრუმენტად ბატონი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. ვხედავთ, რომ ეს პროცესი გრძელდება.

**ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲨᲐᲜᲢᲐᲟᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲪᲔᲠᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲡ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ 2011 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲝ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲣᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲝ ᲒᲖᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝ ᲔᲡ 2022 ᲬᲔᲚᲡᲐᲪ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲖᲔᲬᲝᲚᲐ, ᲘᲧᲝ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲨᲐᲜᲢᲐᲟᲘ, ᲐᲠᲪᲔᲠᲗ ᲔᲢᲐᲞᲖᲔ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲣᲤᲘᲥᲠᲘᲐ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲪᲐᲚᲡᲐᲮᲐᲓ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲐᲜᲢᲐᲟᲘ. ᲘᲧᲝ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲐᲜᲙᲘᲔᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲐᲪ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.**

* * *

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲡ** ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ აშშ-ს საგარეო დახმარების ყველა პროგრამის 90 დღით შეჩერებასთან დაკავშირებით, რაზედაც პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება მისასალმებელია.

**ᲩᲕᲔᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲓᲘᲗ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲕᲐᲘᲜᲘᲪᲘᲠᲔᲗ „ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲠᲐᲛᲘᲖᲜᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲔᲓᲘᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲥ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲮᲨᲘᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲒᲣᲚᲖᲔ ᲓᲔᲕᲡ. ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲠᲝᲛ 3 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ, ᲝᲗᲮᲘ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲝᲗᲮᲘᲕᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲘᲙᲕᲔᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲕᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ.**

**ᲩᲕᲔᲜ** ვართ მოხარული, რომ გვაქვს ღირებულებითი თანხვედრა ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებს პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაცია დიფ სთეითის სრულად დამარცხებას აშშ-ში.

საქართველოს ხელისუფლებას სურს, სუფთა ფურცლიდან განაახლოს სტრატეგიული პარტნიორობა აშშ-სთან.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, ვართ ძალიან დაინტერესებულები, რომ მოხდეს აშშ-სთან ურთიერთობების გადატვირთვა. უფრო მეტიც, ჩვენ განვაცხადეთ, რომ გვინდა, სუფთა ფურცლიდან განვაახლოთ სტრატეგიული პარტნიორობა აშშ-სთან და უფრო მეტიც, ეს გვინდა, გავაკეთოთ კონკრეტული გზამკვლევით, დაახლოებით ისეთივე გზამკვლევით, როგორიც არის შექმნილი ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობებისთვის, როგორიც არის ასოცირების დღის წესრიგი.

**ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲒᲖᲐᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗ, ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲐᲐᲮᲚᲝᲗ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ ᲐᲨᲨ-ᲡᲗᲐᲜ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗ ᲛᲝᲮᲐᲠᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲜᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ.**

ჩვენ ყველას მთავრობა ვართ, მათ შორის რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერი ბიზნესის მთავრობაც, ამიტომ მათი აზრიც უნდა გავითვალისწინოთ, ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ არა მათი პოლიტიკური მოთხოვნები, არამედ ის მსჯელობა, რომელიც უკავშირდება ბიზნესის ინტერესებს!

* * *

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** სტადიონის გარდა ვიმსჯელეთ ასევე რეგიონულ ინფრასტრუქტურაზე. განვიხილეთ შესაბამისი პროექტები. 40-ზე მეტ ლოკაციაზეა დაგეგმილი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ სპორტს აქვს დღეს უპრეცედენტო წარმატება სხვადასხვა მიმართულებით, მოთხოვნაც არის ბავშვებში გაზრდილი, ამას ამ ეტაპზე არსებული ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს, შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება ინფრასტრუქტურის განვითარება რეგიონებში, იმისათვის, რომ ამ მოთხოვნას ვუპასუხოთ. გარდა ამისა, არაერთ ქალაქში, სადაც არის ტრადიციები როგორც ფეხბურთის, ასევე, რაგბის მიმართულებით, არის ინტერესი, აშენდეს ახალი სტადიონები, მოხდეს არსებული სტადიონების რეაბილიტაცია, ახალი მინდვრები იყოს უზრუნველყოფილი, როგორც ბავშვთა ფეხბურთისთვის და რაგბისთვის, ასევე, ზოგადად სპორტის განსავითარებლად. ამ მიმართულებითაც დღეს ვიმსჯელეთ კონკრეტულ გეგმაზე და უახლოეს მომავალში ეს გეგმა წარდგენილი იქნება საზოგადოების წინაშე.

განვიხილეთ ვადები, განვიხილეთ მიმდინარე სამუშაოები, რაც ასევე უკავშირდება თბილისის სტადიონის მშენებლობას. უკვე არც ერთი დღე და არც ერთი კვირა არ უნდა დაიკარგოს იმისათვის, რომ ჩვენ სათანადო ვადებში დავასრულოთ ამ პროექტის განხორციელება. ჩვენ შევჯერდით დღეს კომისიის სხდომაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ჰოლანდიური კომპანია გაგვიწევს საკონსულტაციო მომსახურებას. შემუშავდება ერთგვარი მასტერპლანი, კონცეფცია ახალი სტადიონისთვის, ჩვენს ჰოლანდიელ პარტნიორებთან ერთად, რომელსაც ჩართული ეყოლება უეფას ექსპერტები ამ სტადიონის კონცეფციის შემუშავების პროცესში. მთელი ამ წლების განმავლობაში, როდესაც მსვლელობა მიეცემა სტადიონის მშენებლობას, ისინი გაგვიწევენ ჩვენ საკონსულტაციო მომსახურებას. უახლოეს დღეებში გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება და დეტალურ ინფორმაციას ამ ორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ამის შემდეგ.

**ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ... ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ, ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ.**

**23 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 2025 Წ.**

# ილია მეორე: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი მისწრაფება, დაიცვათ ტრადიციული ღირებულებები

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე დონალდ ტრამპს აშშ-ის პრეზიდენტად არჩევას ულოცავს.**

„**ბატონო პრეზიდენტო**, გულითადად გილოცავთ ამერიკის შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტად არჩევას.

ძალიან დიდია თქვენდამი ხალხის მოლოდინი არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში. მართალია, საინაუგურაციო გამოსვლაში მთავარი აქცენტი თქვენ თქვენი ქვეყნის გაძლიერებაზე გააკეთეთ, მაგრამ ყველა იმედოვნებს, რომ დასახული მიზნების წარმატებით განხორციელება ზოგადადაც სასიკეთო ცვლილებებს მოიტანს და დაძლევს არაერთ სერიოზულ გამოწვევას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი მისწრაფება, დაიცვათ ქრისტიანულ ცნობიერებაზე დაფუძნებული საერთო-საკაცობრიო ტრადიციული ღირებულებები და არ დაიშუროთ ძალისხმევა დედამიწაზე მშვიდობისთვის.



ყოველი ხელმწიფება უფლისგან არის, მაგრამ ბედნიერია ის ერი და ის ხელისუფალი, ვინც თავის მსახურებას ღმერთს უკავშირებს. „ნეტარ არს კაცი, ვინც უფალზე ამყარებს იმედს“ (ფს. 39:5).

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ, თქვენი ოჯახი და თქვენი ადმინისტრაცია. ღმერთმა დალოცოს ამერიკა და მთელი მსოფლიო.

**ღრმა პატივისცემით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,**
**მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,**
**ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი**
**ილია II**



# ამირან სალუქვაძე: ევროკავშირს ბომბი არ უსვრია ჩვენთვის და ეს დარჩათ! ან სრული ეკონომიკური ბლოკადა გამოაცხადონ, რასაც რუსეთი გვიკეთებდა

**21 იანვარს** ევროპარლამენტში საქართველოს საკითხზე დებატები გაიმართა თემაზე: „პოლიტიკური არეულობა და მიმდინარე რეპრესიები“ საქართველოსა და ბელარუსში. გარდა ევროპარლამენტის დებატებისა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შეფასების შესახებ მოხსენებას წარადგენენ. ამის ფონზე კი, ცნობილი ხდება, რომ სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესია 27-31 იანვარს გაიმართება. სესიის პირველ დღეს, 27 იანვარს, 26 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შეფასების შესახებ მოხსენებას წარადგენენ.

ექსპერტი სამხედრო საკითხებში, **ამირან სალუქვაძე** For.ge-სთან ინტერვიუში ამბობს, რომ დასავლური სახელმწიფოები იაზრებენ მათ მიერ მიღებულ უსამართლო გადაწყვეტილებებს, თუმცა მაინც ცდილობენ საქართველოს, როგორც ქვეყნის დაზიანებას – სწორედ ამას უკავშირდება საქართველოსთან დაგეგმილი შეხვედრები და დისკუსიები. მისივე შეფასებით, აშშ-ში დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, მსოფლიო მასშტაბით ბევრი რამ შეიცვლება, მათ შორის საქართველოშიც.

„ამერიკაში ადმინისტრაცია უკვე იცვლება და ეს, რა თქმა უნდა, გავლენას იქონიებს როგორც ევროკავშირის შიდა, ისე საგარეო პოლიტიკაზე, მათ შორის გაფართოების საკითხებზე – და არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ ნატოსი. ამასთან, ბევრი რამ შეიცვლება გლობალურ უსაფრთხოებაშიც. თუმცა, საწყის ეტაპზე ევროკავშირი მაინც გააგრძელებს თავის ხაზს საქართველოსთან მიმართებაში. არიან ქვეყნები, რომლებიც არ ეთანხმებიან სანქციებს და ზოგადად, მსგავს პოლიტიკასთან ჩვენთან მიმართებაში. ის, რომ ეს პოლიტიკა ჩვენთან დაკავშირებით უსამართლოა, ვფიქრობ, თავადაც იციან, მაგრამ თავისი მიზნები აქვთ.

სამწუხარო ის არის, რომ ჩვენთან პოლიტიკური ძალები, ხელისუფლების ოპონენტები, ორიენტირებული არიან ნეგატივზე და შველას ეძებენ ქვეყნის გარეთ. არსად მინახავს, რომ ოპოზიცია ცდილობდეს ქვეყნის დაზიანებას, ეკონომიკის ჩამოქცევას იმისათვის, რომ პოლიტიკურ მიზნებს მიაღწიონ.

სამართალი ყოველთვის პურს ჭამს, უბრალოდ, შეიძლება დრო დაგვაკარგვინოს ამ ყველაფერმა, დაგვაზიანოს – ჯერჯერობით, ვერ ახერხებენ ჩვენს დაზიანებას და ამიტომ არის ყოველი კვირა ახალ-ახალი განხილვები და ახალ-ახალი ზომების მიღება – ფიქრობენ, კიდევ რა გააკეთონ ისეთი, რომ ხელისუფლება ჩამოიშალოს. ბომბი არ უსვრიათ ჩვენთვის – ეს დარჩათ, ან სრული ეკონომიკური ბლოკადა გამოაცხადონ, რასაც რუსეთი გვიკეთებდა“, – განაცხადა ამირან სალუქვაძემ.



**ქვეყნის შიგნით ანალიტიკოსთა და პოლიტიკოსთა ნაწილი დიდ ცვლილებებს ელოდება აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის პირობებში და აღნიშნავს, რომ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები გადაიტვირთება, შესაბამისად, დადებითად შემობრუნდება ვითარება ევროკავშირის ქვეყნებთანაც. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ერთ-ერთია, რომელსაც აღნიშნულთან დაკავშირებით დიდი მოლოდინები აქვს. იგი დონალდ ტრამპს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობის ხელახლა დაკავებას ულოცავს.**

როგორც ირაკლი კობახიძე სოციალურ ქსელ X-ში წერს, დონალდ ტრამპის ლიდერობამ ხელი უნდა შეუწყოს გლობალურ მშვიდობას და გააძლიეროს აშშ-საქართველოს ურთიერთობები.

ხოლო, აშშ-ის ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარე, ჯო უილსონი X-ის საკუთარ გვერდზე წერს, რომ დონალდ ტრამპი უკვე პრეზიდენტია და მალე ახალი სანქციები დაწესდება...

„ივანიშვილის სასტიკი რეჟიმის წინაშე მზია ამაღლობელის გამბედაობით აღფრთოვანებული ვარ. ქართველი ხალხი არ შეშინდება. დონალდ ტრამპი პრეზიდენტია და ახალი სანქციები დაწესდება. ივანიშვილის კორუმპირებულ ხელშემწყობებს დრო ეწურებათ“, – დაწერა ჯო უილსონმა.

**ნიკო ჩოხელი**

# ლევან ნიკოლეიშვილი: ტრამპი ჩინეთს მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელს უწვდის რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით!

**ჩინეთი იქნება ერთგვარი მექანიზმი რუსეთზე გარკვეული გავლენის მოსახდენად**



– ჩვენ გვახსოვს ტრამპის წინასაარჩევნო დაპირებები და განცხადებები – ის რომ პრეზიდენტი ყოფილიყო, ეს ომი არ იქნებოდა. შემდეგ როცა ის პრეზიდენტის რანგში აცხადებს, რომ ამ ომს დაასრულებს, ეს არის მნიშვნელოვანი. რამდენიმე ხნის წინ, სანამ ის პრეზიდენტი გახდებოდა, ჩინეთის მხრიდან გარკვეული მზაობა იყო გამოთქმული ომის შეწყვეტასა და მშვიდობის დამყარებასთან დაკავშირებით. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კულებაც კი გაემგზავრა ჩინეთში და ეს მოლაპარაკება გარკვეულწილად შედგა. ბრიტანეთის პრემიერი, ბორის ჯონსონიც კი აცხადებდა იმ პერიოდში, რომ ეს არის ერთადერთი გამოსავალი და მხოლოდ ჩინეთს შეუძლია განადგურებისგან იხსნას უკრაინა. შემდეგ ვნახეთ, როგორ განვითარდა მოვლენები: კულება ბრუნდება უკრაინაში, ერთი მხრივ ალბათ გახარებული, რომ მან მიაღწია სანუკვარ მშვიდობას, რომ ჩინეთი მშვიდობის დამყარებისთვის ჩაერევა და ამ დროს, ბაიდენის ადმინისტრაციისგან უკრაინა იღებს ნებართვას ,რომ რუსეთის ტერიტორიაზე განახორციელოს საჰაერო დარტყმები. იყო ეს დარტყმები, რასაც პუტინის პასუხიც მოჰყვა, შემდეგ უფრო და უფრო დაიძაბა ვითარება იმ დონეზე, რომ რუსეთმა მაქსიმალური ძალებით განაგრძო ომის მიმდინარეობა. ეს ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ ჩინეთის ეს მცდელობა, რამენაირად ჩაშლილიყო. ამასთან დაკავშირებით ტრამპის პოლიტიკა ძალიან საინტერესოა; ის ითვალისწინებს ჩინეთის სერიოზულ როლს საგარეო, მსოფლიო პოლიტიკაში და მას სურს რომ გააგრძელოს ჩინეთთან ისეთი ურთიერთობა, რაც ორივე ქვეყნისთვის მისაღები იქნება.

აქედან გამომდინარე, ასე ვთქვათ ტრამპი უწვდის მეგობრობის და თანამშრომლობის ხელს ჩინეთს რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით და ერთი მხრივ ჩინეთი იქნება ერთგვარი მექანიზმი რუსეთზე გარკვეული გავლენის მოსახდენად. ომის დასრულება და მშვიდობის დამყარება ადვილი პროცესი არ არის, ვიცით, რომ ცეცხლის შეწყვეტა არის ერთი და მეორეა მთელი რიგი პროცესები, რომელიც უნდა გაიმართოს, რათა ომი საბოლოოდ დასრულდეს. ტრამპი ეძებს თანამშრომლობას ყველა მხარესთან და ყველა იმ გავლენიან სახელმწიფოებთან, ვისაც შეუძლია მშვიდობის დამყარებაში თავისი როლი ითამაშოს, რაც ძალიან მისასალმებელი ჟესტი გახლავთ.

აშშ სუპერ სახელმწიფოა თავისი უზარმაზარი შესაძლებლობებით, აშშ თავის ინტერესებს ყოველთვის დაიცავს, შეეცდება, ეს დომინანტობა შეინარჩუნოს და მეორე მხრივ ტრამპი პრაგმატულად უყურებს ჩინეთის მზარდ როლს მთელს მსოფლიოში და მას ჩინეთთან უნდა ისეთი ურთიერთობების დამყარება, რაც ღირსეული და შესაფერი იქნება ორივე ქვეყნისთვის, – განაცხადა ნიკოლეიშვილმა.

# შეძლებს თუ არა ტრამპი 100 დღეში უკრაინის ომის დასრულებას?!

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სპეციალურ წარმომადგენელ კიტ კელოგს უკრაინის ომის 100 დღეში დასრულება დაავალა. ამის შესახებ „უოლ სტრიტ ჯორნალი“ წერს. თავად დონალდ ტრამპი კი აცხადებს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს დააწესებს, თუ ვლადიმერ პუტინი უარს იტყვის უკრაინაში ომის დასრულებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებზე. ტრამპმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ მზადაა, პუტინსა და ზელენსკისთან შესახვედრად, როცა ისინი მოისურვებენ. ტრამპმა კიდევ ერთხელ დააყენა ეჭვქვეშ უკრაინაში ომის მსხვერპლთა ოფიციალური რაოდენობა. მისივე თქმით, ომმა უკვე მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ტრამპის შეფასებით, მოსკოვის დანაკარგები დაახლოებით 800 ათას ადამიანს შეადგენს, ხოლო კიევის – 600-დან 700 ათასამდე ადამიანს.**



**CNN**-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ტრამპმა თავის თანაშემწეებს უახლოეს დღეებში პუტინთან სატელეფონო საუბრის ორგანიზება დაავალა. ტელეკომპანიის წყაროთა ცნობებით, საუბრის მიზანი, მათ შორის, იქნება რუსეთის მხრიდან უკრაინაში წარმოებული ომის შეწყვეტის გზების ძიება. ტრამპის გუნდი იუწყებოდა ასევე ორი ქვეყნის პრეზიდენტების სამიტისთვის მზადებასაც.

ამერიკული გამოცემა წერს, რომ კიტ კელოგის, როგორც სპეციალური წარმომადგენლის როლი უკრაინაში, სამშვიდობო მოლაპარაკებებში „დამწყები გამბიტია“, რომლის გაკონტროლებასაც ტრამპი თავად აპირებს. როგორც უკრაინაში ტრამპის წარმომადგენელი, კელოგი მას კონსულტაციებს გაუწევს მოლაპარაკებების საკითხებთან დაკავშირებით.

სტატიის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში თეთრი სახლის ყოფილმა მრჩეველმა, ჯონ ბოლტონმა ერთხელ მოისმინა ტრამპის განცხადება, რომ მოსწონდა კელოგი, რადგან ის „არასდროს გამოხატავს თავის აზრს, თუ მე არ ვკითხავ მას“. გამოცემის თანახმად, კელოგის სამხედრო გამოცდილება, შეიძლება, მნიშვნელოვანი იყოს ტრამპისთვის, თუმცა კელოგს არასოდეს უმუშავია დიპლომატად და „თუ თეთრ სახლში მისი გამოცდილება რაიმეს მიანიშნებს, ის არ მიიღებს მონაწილეობას რუსეთთან რეალურ მოლაპარაკებებში“.

სტატიის თანახმად, ჯონ ბოლტონი შიშობს, რომ მოახლოებულ მოლაპარაკებებში ტრამპმა, შეიძლება, კიევი აიძულოს მოსკოვთან დამღუპველ დათმობებზე წავიდეს, „რადგან ეჩვენება, რომ პუტინმა იცის, როგორ ითამაშოს ტრამპთან“. როგორც სტატიაში წერია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კელოგი იყოს თავდაცვა პუტინის გავლენის წინააღმდეგ.

აშშ-ის ახალმა სახელმწიფო მდივანმა, მარკო რუბიომ CBS Mornings-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიზანია უკრაინაში ომის დასრულება ისე, რომ რამდენიმე წელიწადში ახალი ომი არ დაიწყოს. ამასთან, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ უკრაინა ამჟამად იხდის უდიდეს საფასურს თავისი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურით, ადამიანებით და დაკარგული სიცოცხლეებით, მილიონობით უკრაინელით, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი ქვეყანა და საზღვარგარეთ ცხოვრობენ.

მარკო რუბიოს აზრით, ყველა ძალიან ბედნიერი უნდა იყოს, რომ აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპი აირჩიეს, რადგან მას სურს, ხელი შეუწყოს მსოფლიოში მშვიდობას და დაასრულოს ეს კონფლიქტები.

**ამერიკიდან წამოსულ გზავნილებს კი უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმერ ზელენსკი შემდეგნაირად პასუხობს: „უკრაინის ხელისუფლებას არ აქვს უფლება, დათმოს მიწები, რომლისთვისაც უკრაინელები დაიღუპნენ“.**

ზელენსკიმ ჟურნალისტის კითხვას, მისაღები იქნება თუ არა კიევისთვის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლს შეინარჩუნებს, უპასუხა, რომ უკრაინა არასოდეს აღიარებს ოკუპირებულ ტერიტორიებს რუსეთის ტერიტორიებად, თუნდაც მისი ყველა მოკავშირე ამის მომხრე იყოს.

ამასთან, უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თავად პუტინს ჯერჯერობით არ ესმის, როგორ გამოვიდეს ამ ომიდან, ამიტომ „აშშ-მა და ევროპამ მასზე ზეწოლა უნდა განახორციელონ“. ზელენსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ურჩევს პუტინთან მოლაპარაკებების დაწყებას კითხვით, თუ რა სურს და რას სთავაზობს თავად ის.

**„პუტინმა ყველაფერი დაარღვია, ის არის დამნაშავე. მან უნდა იცოდეს, რა დააშავა, რა დაარღვია, სად დაუშვა შეცდომა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მასთან საუბარი. თქვენ რომ დაელაპარაკოთ ისე, როგორც თანასწორს, ეს იქნება მარცხი უკრაინისთვის“,** – განაცხადა ზელენსკიმ.

რაც შეეხება კრემლის პოზიციას, პუტინმა 20 იანვარს განაცხადა, რომ ის მიესალმება ტრამპის სურვილს და მზადყოფნას, შეხვდეს მას და ომის დასრულებასთან დაკავშირებით ისაუბრონ.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დონალდ ტრამპს პრეზიდენტობა მიულოცა.

პუტინი დადებითად გამოეხმაურა ტრამპის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა აეწყოს და ესკალაცია უნდა აღიკვეთოს.

**„პიკას“** პროფესორი თენგიზ ფხალაძე ეჭვობს, რომ 100 დღეში უკრაინა-რუსეთის ომის დასრულება შესაძლებელი იქნება, თუმცა for.ge-სთან ვარაუდობს, რომ ტრამპი მაქსიმალურად ეცდება დაპირების შესრულებას და ომის ბედის გადაწყვეტა რამდენიმე ფაქტორზე იქნება დამოკიდებული.

„პირველ რიგში, ის ფაქტი უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვსა და პუტინში რიტორიკის ცვლილება შეინიშნება. ჩვენ გვახსოვს მისი პრესსპიკერის პესკოვის განცხადება, როცა ტრამპმა თქვა, რომ ის მზად იყო პუტინთან მოლაპარაკებაზე, პესკოვმა თქვა, რომ ამის ალბათობა არ არსებობდა. ინაუგურაციის დღეს პუტინმა მზადყოფნა გამოთქვა ამ შეხვედრისთვის. ვნახეთ სხვადასხვა წყაროები წერენ, რომ ამ შეხვედრისთვის სამუშაო პროცესი დაწყებულია. ამიტომ ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი მგონია. ტრამპი ნამდვილად არ არის ის ადამიანი, რომელიც პუტინს საჩუქარს მიართმევს. მისი ხასიათი და პირველი პრეზიდენტობა ამას ადასტურებს. ახლა პუტინი არ არის მარტივ მდგომარეობაში და იგივე ითქმის უკრაინაზეც. პუტინს უკან დახევა არ შეუძლია, თუმცა მას რაღაც დათმობაზე წასვლა მოუწევს“, – ამბობს ფხალაძე.

მისივე თქმით, ეს პირველ რიგში, იმაზე იქნება დამოკიდებული, ფრონტზე მოვლენები როგორ განვითარდება.

„კი ბატონო, რუსეთს აქვს გარკვეული სახის წარმატება, მაგრამ უკრაინაც რუსეთის ტერიტორიის ნაწილს, კურსკს აკონტროლებს. მართალია პუტინი, ამას არ იმჩნევს, მაგრამ ეს საკმაოდ სერიოზული გამოწვევაა მისთვის. ახლა ორივე მხარე ცდილობს მოლაპარაკებისთვის მაქსიმალურად ძლიერი პოზიციები დაიკავონ. ასევე პუტინის გადაწყვეტილებები დამოკიდებული იქნება იმ დახმარებაზე, რასაც დასავლეთიდან უკრაინა მიიღებს – რას იზამს ტრამპი და ევროპას აიძულებს თუ არა, რომ უფრო მეტი დახმარება გაუწიონ უკრაინას. ხოლო აქ ასევე ჩინეთის ფაქტორი იქნება გარდამტეხი. ვიცით, რომ პუტინი ჩინეთს ძალიან დიდ ანგარიშს უწევს. ამიტომაც გადაწყვიტა ტრამპმა ჯერ ჩინეთის ლიდერთან სი ძინპინთან შეხვედრა, შემდეგ კი პუტინთან. ის ჩინეთის პრეზიდენტთან პოზიციებს გაიმყარებს, ამის შემდეგ კი პუტინს პირობებს წაუყენებს. თუ მან შეძლო სი ძინპინთან საერთო ენის გამონახვა რიგი საკითხების მიმართ და რაღაცა შეთანხმებამდე მივიდნენ, რუსეთს კარგი დღე არ დაადგება. ეს იცის პუტინმა, ამიტომაც მან მალევე შეცვალა რიტორიკა და ეცდება, თავად დაასწროს პირობების წაყენება“, – ამბობს პროფესორი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## დონალდ კვირის
## ტრამპის ციტატები

### ამერიკულ ობიექტებზე „პრაიდისა“ და „შავკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანიას“ დროშების განთავსება აიკრძალა!

**აშშ**-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაადგინა „ერთი დროშის“ პოლიტიკა, რომლის თანახმად, საელჩოებსა და სხვა ოფიციალურ უწყებებზე მხოლოდ სახელმწიფო დროშა იყოს აღმართული.

„მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების დროშა არის ნებადართული, ფრიალებდეს ან გამოიტანონ აშშ-ის ობიექტებზე, როგორც შიდა, ისე მის ფარგლებს გარეთ და წარადგინონ აშშ-ის მთავრობის კონტექსტში. აშშ-ის დროშამ გააერთიანა ყველა ამერიკელი სამართლიანობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის უნივერსალური პრინციპების ქვეშ. ამ ღირებულებებს, რომლებიც ჩვენი დიდი ქვეყნის საფუძველია, იზიარებს ამერიკის ყველა მოქალაქე, წარსულსა და აწმყოში“, – აღნიშნულია განცხადებაში.

როგორც მედია წერს, სახელმწიფო დეპარტამენტის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც დაარღვევს ახალ პოლიტიკას, დაისჯება დისციპლინური პასუხისმგებლობით, მათ შორის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტით.

### არ გვინდა, რომ კაცებმა მონაწილეობა მიიღონ ქალთა სპორტში, არ გვინდა სქესის შეცვლის ოპერაციები ყველასთვის!

ჩვენ ვართ საღი აზრის პარტია. ჩვენ არ გვინდა, კაცებმა მონაწილეობა მიიღონ ქალთა სპორტში. ჩვენ არ გვინდა სქესის შეცვლის ოპერაციები ყველასთვის. ჩვენ უბრალოდ გვინდა, გვქონდეს დიდებული ქვეყანა, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა საინაუგურაციო წვეულებაზე განაცხადა.

მისი თქმით, ამერიკის შეერთებულ შტატებში არის სწრაფვა საღი აზრისკენ.

– ამ ქვეყანაში არის სწრაფვა კომპეტენციისკენ. ამ ქვეყანაში არის სწრაფვა საღი აზრისკენ. მე აქამდეც მითქვამს, ჩვენ ვართ საღი აზრის პარტია. ჩვენ არ გვინდა, რომ კაცებმა მონაწილეობა მიიღონ ქალთა სპორტში. ჩვენ არ გვინდა სქესის შეცვლის ოპერაციები ყველასთვის. ჩვენ უბრალოდ გვინდა, გვქონდეს დიდებული ქვეყანა. ჩვენ გვინდა განათლება, გვინდა სახლები, რომლებიც მთელი ქონება არ ღირს. ჩვენ გვინდა დაბალი საპროცენტო განაკვეთები, დაბალი გადასახადები, გვინდა ძლიერი სამხედრო ძალა და ეს გვექნება, ჩვენ ეს ერთხელ უკვე გავაკეთეთ 2017 წელს, როდესაც ჩვენი შეიარაღებული ძალები აღვადგინეთ. ჩვენ გამოვაცხადებთ გარკვეულ სიახლეებს. თქვენ ძალიან დაგაინტერესებთ ეს...





# ფარისევლობას და ტყუილს არ უნდა ჰქონდეს ადგილი!

## შალვა პაპუაშვილი:

# არჩევნებს ითხოვთ? კი ბატონო, 4 ოქტომბერს არჩევნებია!

„ჩვენ თავისუფალი ქვეყანა ვართ, ყველას შეუძლია პოლიტიკის წარმოება, ერთადერთი რამ არის ის, რომ ფარისევლობას და ტყუილს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. კიდევ ერთხელ, დღემდე ის ადამიანები რომ გამოდიან, თითქოს ხან ასეთი აქტივისტია, ხან გულწრფელი ახალგაზრდაა და ხანაც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი, იმიტომაც მალავენ თავის არჩევანს, რომ სინამდვილეში რცხვენიათ ამ არჩევანის, ვინაიდან, როგორც კი იტყვიან მისი მხარდამჭერები არიან, გამოჩნდება კიდევაც, სად არის მათი მორალური ღირებულებები. ამიტომ, თუკი ვინმეს უნდა პოლიტიკის ღიად წარმოება, ამისთვის თავისუფალ ქვეყანაში არის ყველანაირი შესაძლებლობა და კი ბატონო, წინ არის არჩევნები, **ითხოვდნენ არჩევნებს და დაინიშნა არჩევნები 4 ოქტომბერს**. იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მიიღონ მონაწილეობა და ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ ექნება შესაძლებლობა, აწონოს ყველას პოზიცია მათი ღირებულებებიდან გამომდინარე და გააკეთოს არჩევანი. ჩვენ ვხედავთ, რომ 12 წელია, ქართველი ხალხი ამ არჩევანში არ ცდება და დარწმუნებული ვარ, შემოდგომაზეც სწორ არჩევანს გააკეთებს“....

## ტიერი მარიანი:

# შეწყვიტეთ ზეწოლა საქართველოზე!

**ამის შესახებ ფრანგი პოლიტიკოსი და ევროპარლამენტის წევრი ტიერი მარიანი პლატფორმა X-ზე წერს.**

**„ეუთოს სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში საქართველოს არჩევნებზე გამოქვეყნდა.**

**რუსეთის ჩარევაზე არც ერთი მინიშნება არ არის.**

**საკმარისია ტყუილები!**

**საკმარისია ევროკავშირის ცუდი ნება!**

**დროა, ევროკავშირმა შეწყვიტოს ზეწოლა და საბოლოოდ პატივი სცეს ქართველი ხალხის არჩევანს!“**



# თან ჭრის, თან კერავს

**თანაინვესტირების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი ბაჩიაშვილი არ უარყოფს, რომ აქციების დროს დაზარალებულების დასახმარებლად შექმნილ ფონდებს აფინანსებს.**

ბაჩიაშვილი ამტკიცებს, რომ უშუალოდ აქციების დაფინანსებაში ჩართული არ არის.

„საჯაროდ არ განვაცხადებ, რომელ ფონდებს ვაფინანსებ. გარწმუნებთ, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ის ფონდები, რომლებიც ეხმარებიან დაზარალებულ ადამიანებს, იმ ადამიანებს, რომლებიც გამოუშვეს სამსახურებიდან. აქციების დაფინანსების მექანიზმი არ არსებობს, მე არ ვიცი, როგორ დავაფინანსო აქციები, იქ არავის არც ხელფასს უხდიან მონაწილეობაში, რა დაფინანსება უნდა აქციას? პროტესტი ვისაც აქვს, გამოდის“, – ამბობს გიორგი ბაჩიაშვილი.

# SOS!

# გვსუსხავს დემოგრაფიული ზამთარი

## ბატონო ბიძინა, ქვეყანაში მართლაც უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა!



**ბატონო ბიძინა, თქვენ ერთ-ერთ ადრინდელ წერილში ბრძანეთ: „დემოგრაფიული მაჩვენებლების ვარდნა ჩვენი შვილების თაობას ნაციონალურ კატასტროფას უქადისო“.**

დემოგრაფიული ვითარება მართლაც მძიმეა.

2012 წელს „ქართული ოცნების“ აქტივებთან საქართველოში დემოგრაფიული ვითარების პრობლემებზე მოხსენება გავაკეთე, რომელსაც თქვენც ესწრებოდით. მაშინ ხაზგასმით ითქვა, რომ სასწრაფოდ საჭირო იყო აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება. „ქართულმა ოცნებამ“ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ საგანგაშო დემოგრაფიული ვითარების პირობებში საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარებაც.

ამ ხნის განმავლობაში ძალიან გვიჭირდა, ჩვენი დამხმარე არავინ იყო, რომ დემოგრაფიულ პრობლემებზე გვემუშავა და ნაშრომები გამოგვეცა.

**ამ ეროვნულ საქმეში დახმარება მხოლოდ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერმა, ბატონმა ვახტანგ წივწივაძემ გაგვიწია, აგრეთვე, გარკვეულწილად დაგვეხმარა ფირმა „ავერსის“ თავკაცი პაატა კურტანიძე (რომელიც დამოუკიდებლად ეხმარება მრავალშვილიან ოჯახებს) და ენგურჰესის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან მეგონია.**

არადა, ამ ეროვნულ საქმეში ბევრ ჩვენს თანამემამულეს შეუძლია თავისი წვლილის შეტანა, მაგრამ ერთ თითრსაც არავინ იმეტებს! მოკლედ, ისე არის საქმე, როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობდა: **„ქართველი კაცი ეროვნული საქმისათვის ქისას არ გახსნისო“.**

ბატონო ბიძინა, ერთხელ ერეკლე მეფესთან მრავალშვილიანი გლეხი მივიდა სათხოვნელად. მეფემ გლეხს მიმართა – ათი შვილი გყავს და ასე რა გაგიჭირდაო. გლეხმა მიუგო: ნეტავ ერთი შვილი მყავდეს და შენისთანაო. ეს მაგალითია, იმისთვის მოვიყვანე, რომ თქვენ უდიდეს ქველმოქმედებას ეწევით. ძველი ბერძენი მოაზროვნის დემოკრიტეს მიხედვით, „ქველმოქმედება ის კი არაა, ვისაც სარგებლობა აინტერესებს, არამედ ის, ვინც უანგაროდ მოქმედებს“. თქვენ უანგაროდ დაეხმარეთ სამშობლოს დიდი გაჭირვების ჟამს და ახლაც იმავეს აგრძელებთ. ალბათ, მსოფლიოში არ მოიძებნება მეორე ისეთი მილიარდერი, რომელიც თავისი ქონების ნახევარს თქვენსავით ეროვნული საჭიროებისთვის გაიღებდა. მაგრამ, რას იზამთ, თუ ზოგიერთს არ უნდა ყოველივე ამის დანახვა!

ქართული სიბრძნისა არ იყოს, თუ კაცს გულით არ უნდა, ზღვის ნაპირზე ქვიშას ვერ შენიშნავსო. საერთოდ, ძნელია კეთილი საქმის კეთება იქ, სადაც ყველას ამირან დარეჯანისძეობა სურს, მათ შორის ყოვლად უღირსსაც!..

ბატონო ბიძინა, ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინათ ვაჟა-ფშაველა წერდა: **„პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა და საქვეყნო საქმის მმართველად ვინ გინდა, არ გამოდგება. იმას ქვეყანა სთხოვს თანხას გონებრივს და გუნებრივს. თუ ერთ-ერთი ამათგანი აკლია, მაშინ უნდა თავისთვის იჯდეს საკუთარს კერაზე და არ ეჩხირებოდეს საქვეყნო საქმეში“.**

სამწუხაროდ, ჩვენს ყოფილ პრეზიდენტებს – სააკაშვილს, მარგველაშვილსა და ზურაბიშვილს არ აღმოაჩნდათ გონებრივი და ზნეობრივი თანხა პრეზიდენტობისათვის. იმედია, ახალი პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი გადაფარავს ქვეყნის სიყვარულით, ეროვნული საქმეების კეთებით, კეთილშობილებით, რაინდობით, წინა სამი პრეზიდენტის სამარცხვინო საქმეებს.

ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ რა უსამართლობასაც ნაციონალები სჩადიოდნენ ჩვენი ხალხის წინაშე, ისედაც მძიმე დემოგრაფიულ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა. მათ ისე დაამთავრეს თავიანთი „მოღვაწეობა“, რომ ქვეყანაში ყველაზე დიდ ეროვნულ ტკივილზე, დემოგრაფიულ ვითარებაზე და მისი გაჯანსაღების საჭიროებაზე სიტყვაც არ დაუძრავთ.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ამ აბურდულ საუკუნეში „სამართლის ქმნა“ ვერ შევძელით. ადამიანის პატივი და ღირსება არანაკლებ ფეხქვეშ ითელებოდა ნაციონალების მიერ, ვიდრე ეს იყო გასული საუკუნის 90-იან წლებში, რაც ჩემზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ.

„ქართულმა ოცნებამ“ ამ უმსგავსოებას ბოლო მოუღო. ქართველმა ერმა ჩამოირეცხა სირცხვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ შეძლო ამის გაკეთება – ავადსახსენებელი კოჰაბიტაციის გამო სამართალმა ბოლომდე პური ვერ ჭამა.

ქართველი ერი, რომლის არსებობის საფუძველი დიდი სულიერი მემკვიდრეობა, გმირობა და პატრიოტიზმია, ვერასოდეს შეეგუება ნაციონალების და მათ გარშემო შემოკრებილი ყარტაყურტა პარტიების ყელყელაობას, ძალაუფლებისა და ფულისათვის ბრძოლას.

ქვეყანაში გაცილებით უკეთესი ეკონომიკური ვითარება იქნებოდა, რომ არა ნაციონალები, რომლებიც ხელისუფლებას კრიჭაში უდგანან, გამიზნულად არაფერი არ მოსწონთ და დრო და ეროვნული ენერგია მათთან უაზრო ბრძოლაში იფლანგება. ეს ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ნაციონალების კრიმინალური რეჟიმი ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის დამსახურებულად არ დაისჯებიან. ნაციონალების გაქრობა პოლიტიკური არენიდან კი სულაც არ იქნება ნაციონალური დანაკარგი!

**თუ მთავარ სათქმელს დავუბრუნდებით, როდესაც ერი ფიზიკური არსებობის, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იმყოფება, უპირველესად, საჭიროდ მიმაჩნია აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამის შემუშავება და სამთავრობო სტრუქტურებში ცალკე, დამოუკიდებელი სტრუქტურის შექმნა თუ სამინისტროს დონეზე არა, თუნდაც დემოგრაფიული პრობლემების კვლევის ცენტრის სახით, როგორც ეს დემოგრაფიულად მძიმე ვითარების ქვეყნებშია.**

ბატონო ბიძინა, თუ თქვენი დროის ბიუჯეტი საშუალებას მოგცემთ და საჭიროდაც ჩათვლით ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მოგვისმინოთ, ვფიქრობთ, ქვეყანაში მძიმე დემოგრაფიული პრობლემის მოგვარების საქმე ადგილიდან დაიძვრება; მით უმეტეს, ამის მოთავედ სხვას ვერავის ვხედავთ.



**„ამის უკეთესს ვერცა-რას ღმერთს ამეებთ და ვერცა-რას ქვეყანას შევჰმატებთ“!**

**ანზორ თოთაძე,**
**პროფესორი, დემოგრაფი**
**23.01.2025**

# გადადგომას არავინ არ აპირებს!

**ბონდო მძინარაშვილი:**

**რადიკალების მოთხოვნა, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის გადადგომის თაობაზე, აბსურდულია!**



*„საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალია პოლიტიკური და ბიზნეს–გავლენებისგან. ის არ არის დამოკიდებული რეკლამაზე და არც იმაზე, თუ ვინ იქნება ხელისუფლებაში, რადგან კანონმდებლობით აქვს გარანტირებული თავისუფლება“, – ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ბონდო მძინარაშვილი „საქართველოს რესპუბლიკასთან“ საუბრობს. მისი თქმით, პირველი არხი ოპოზიციურ პარტიებს საეთერო დროის დიდ ნაწილს უთმობს და მაუწყებლის მიმართ მათი პრეტენზიები აბსურდულია.*

***– ბატონო ბონდო, ერთხელ ახსენით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ყველას თავისი ჰგონია და თითოეულ მათგანს, „პირველი არხის“ მიმართ, საკუთარი პრეტენზია აქვს, რაც ფაქტობრივად, მის ირგვლივ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა. რეალურად რას და ვის ემსახურება ეს ისტორიული მაუწყებლობა?***

– ზოგადად, ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხის ყველაზე მნიშვნელოვანი მსაზღვრელი არის მედიის დამოუკიდებლობა. დღეს საქართველოში მედიასაშუალებები აბსოლუტურად დამოუკიდებლები არიან სახელმწიფოს გავლენისაგან. რა თქმა უნდა, ვერც ერთი მედიასაშუალება მეპატრონის თუ სპონსორის ინტერესებს, ანუ ბიზნესგავლენას თავს ვერ აღწევს, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ მხრივაც გამოირჩევა.

კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალია პოლიტიკური და ბიზნეს გავლენებისგან. ის არ არის დამოკიდებული რეკლამაზე და არც იმაზე, თუ ვინ იქნება ხელისუფლებაში, რადგან კანონმდებლობით აქვს გარანტირებული თავისუფლება და დაფინანსების წესიც კი, რომელიც ბიუჯეტიდან, ყოველწლიურად, განსაზღვრული მოცულობის თანხას ითვალისწინებს. პირველი არხი არ არის დამოკიდებული კონკრეტული პოლიტიკური (მმართველი თუ ოპოზიციური) პარტიების განწყობებზე, რაც განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას. თუმცა, პოლიტიკურ ძალებს მუდმივად აქვთ მცდელობა, რომ ხელში ჩაიგდონ და მასზე გავლენა მოიპოვონ. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად საუბრობენ, თითქოს პირველ არხს არა აქვს რეიტინგი, ყველამ კარგად იცის, მათ შორის, სხვადასხვა ტელევიზიის თანამშრომლებმაც, რომ ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე მიუკერძოებელი მაუწყებელი არის სწორედ პირველი არხი. თან ამბობენ, არავინ უყურებსო და თან პირველი არხის გადაცემებში მონაწილეობის სურვილს აგრესიული ფორმით მოითხოვენ. თუ არავინ უყურებს, რატომ აქვთ ასეთი სურვილი და და ასეთი დაჟინება?! იმიტომ, რომ კარგად იციან: საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა საქართველოში, კლასიკური გაგებით, ტელევიზია არ არსებობს; ყველა ტელევიზია არის რომელიღაც პოლიტიკური პარტიის გულშემატკივარი და მისი ინტერესების ღიად მხარდამჭერი პროპაგანდის განყოფილება.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მუშაობს მისთვის განსაზღვრული პრიორიტეტებით, საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში და მისი ვალდებულებაა საზოგადოებრივ–პოლიტიკური, სპორტული თუ კულტურულ–საგანმანათლებლო გადაცემების მომზადება. ამ პროცესში მაუწყებლის პოლიტიკურ აქტორად გამოყვანა ან მცდელობა, რომ მასაც ისეთივე პოლიტიკური დღის წესრიგი ჰქონდეს, როგორიც აქვთ, მაგალითად, „იმედს“, „რუსთავი– 2– ს“, „მთავარს“, „ფორმულას“ თუ „ტვ– პირველს“, – მიუღებელია! ტელევიზიების საეთერო ბადეს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ფაქტობრივად, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, კულტურული და სპორტული გადაცემები საერთოდ არ აქვთ, ან ძალიან მცირე დოზით აქვთ წარმოდგენილი. საზოგადოებრივ მაუწყებელს კი აქვს ხარისხიანი სატელევიზიო პროდუქტი, რაც, უპირველესად, საზოგადოების გემოვნებას და მისი კულტურულ–შემეცნებითი დონის ამაღლებას ემსახურება.

***– კონკრეტულად რა უნდათ, რას ითხოვენ თქვენგან?***

– რადგან ყველა სხვა ტელევიზია კონკრეტულ პოლიტიკურ დღის წესრიგს არის მორგებული, ადამიანები, მათ შორის ტელევიზიების თანამშრომლები, ძალიან ღიზიანდებიან, როცა ხედავენ, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადის რაღაც შემეცნებითი გადაცემა იმ მომენტში, როცა, მაგალითად, ქუჩაში აქცია მიმდინარეობს და სხვა ტელევიზიები ჩხუბის და წივილ–კივილის კადრებს უთმობენ საეთერო დროს. მათ არ უნდათ იმის გაგება, რომ საქართველოში არის ასიათასობით ადამიანი, რომელიც საერთოდ არ უყურებს იმ ტელევიზიებს, სადაც წივილ–კივილს აჩვენებენ და არ აინტერესებს ის, რაც ქუჩაში ხდება. რადიკალები დაჟინებით მოითხოვენ, რომ პირველმა არხმაც იმაუწყებლოს ზუსტად ისე, როგორც ის ტელევიზიები მაუწყებლობენ, რომლის თანამშრომლებიც თავად მართავენ საპროტესტო აქციებს. ბევრი მათგანი იყო ჩვენი ტელევიზიის თანამშრომელი და მათ კარგად უნდა ესმოდეთ პირველი არხის მუშაობის სპეციფიკა. აქციის მონაწილეთაგან, ზოგიერთი, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის შემუშავებაშიც კი მონაწილეობდა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციას განსაზღვრავს და ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ მათ არ ესმით, თუ რას ითხოვენ! მუდმივად აპელირებენ იმაზე, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ბიუჯეტის ფულით ფინანსდება, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ამ ქვეყანაში სამმილიონ–ნახევარზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და მხოლოდ ასი, ათასი ან თუნდაც 10 ათასი ადამიანის ფულით არ ფინანსდება ეს ტელევიზია. პირველი არხი ვალდებულია, ყველას ინტერესი დააკმაყოფილოს და არა მხოლოდ იმ, თუნდაც, ათასი ადამიანის, რომელიც პროტესტს გამოხატავს და აგრესიულად ითხოვს საეთერო დროს! თუ კარგად გადაიანგარიშებთ, საზოგადოებრივი მაუწყებელი 24–საათიანი საეთერო დროის საკმაოდ დიდ ნაწილს უთმობს ამ კონკრეტული რადიკალური ჯგუფების საპროტესტო აქციებს. მათ იმის გაგებაც არ უნდათ, რომ ამ ქვეყანაში მილიონზე მეტი ადამიანი, ოფიციალურად, საარჩევნო შედეგების მიხედვით, მათ მოსაზრებას არ ეთანხმება. ის მილიონზე მეტი ადამიანიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელია და მათაც უნდა შევთავაზოთ ისეთი სატელევიზიო პროდუქტი, რომელიც მათ მოთხოვნას დააკმაყოფილებს!

***– ყურადღება იმასაც მივაქციე, რომ პირველი არხის წამყვანები საკმაოდ თამამად, ღიად გამოხატავენ თავიანთ პოლიტიკურ მხარდაჭერას თუ ანტიპათიას, – თუნდაც განსხვავებულ პოზიციას და დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის მიმართ. როგორც ჩანს, ისინი არც ამ თვალსაზრისით არიან შეზღუდული!***

– არა, რა თქმა უნდა! ასეთი დამოკიდებულება არ არის საზოგადოებრივ მაუწყებელში. მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებით ისარგებლონ. ჩვენი ჟურნალისტები რობოტები კი არ არიან! ბიბისის სტანდარტია, რომ, თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელი ხარ და შენს პირად დამოკიდებულებას გამოამჟღავნებ, ამის შემდეგ, შეიძლება, რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ ან ორგანიზაციამ, უბრალოდ, შენს ტელევიზიასთან აღარ ითანამშრომლოს. ეს არის მიზეზი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები მეტად თავშეკავებულები არიან საჯაროდ პოზიციის გამოხატვისგან. ჩვენ არ ვზღუდავთ თანამშრომლებს და სხვა ტელევიზიებისგან ამითაც განვსხვავდებით, მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებობს ზომიერება და არსებობს მიუკერძოებლობის სტანდარტი, რომელიც ყველამ უნდა დაიცვას! მთავარია, მათ საკუთარი პოზიცია თავს არ მოახვიონ საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელს და როდესაც ინფორმაცია შუქდება, ის არ გაშუქდეს კერძო სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით. ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებლის პრინციპი.

***– საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ რადიკალებს უცნაური მოთხოვნები აქვთ. მაგალითად, მოითხოვენ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის გადადგომას, პატიმრების გათავისუფლებას, ვადამდელ არჩევნებს და ა.შ. მართლა ფიქრობენ, რომ ეს ყველაფერი პირველი არხის პრეროგატივაა?***

– საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ირჩევს და ამტკიცებს პარლამენტი, კვოტების შესაბამისად. ეს არის უმრავლესობის, უმცირესობის, სახალხო დამცველის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კვოტები. თავის მხრივ, სამეურვეო საბჭო უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს და გენერალურ დირექტორს და, რადგან ორივე სამეურვეო საბჭოს უმრავლესობის მიერ არის არჩეული, რადიკალების მოთხოვნა, მათი გადადგომის თაობაზე, აბსურდულია! არავინ არსაიდან გადადგომას არ აპირებს! ამ ადამიანებს ნდობა გამოუცხადა სამეურვეო საბჭომ და, შესაბამისად, ისინი განაგრძობენ მუშაობას! სხვათა შორის, კარგად მუშაობას!

## ყველაზე მეტი მაყურებელი საზოგადოებრივ მაუწყებელს ჰყავს!

გარდა ამისა, დაპატიმრებულების გამოშვება, საერთოდ არ არის საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმე. მით უმეტეს, ჩვენი საქმე არ არის ვადამდელი არჩევნების დანიშვნა. ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღონ პოლიტიკურმა სუბიექტებმა, სახელმწიფო ინსტიტუტებმა. ჩვენც სახელმწიფო ინსტიტუტი ვართ, მაგრამ ჩვენი საქმე განსაზღვრულია კონსტიტუციით და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს არ ითვალისწინებს. კიდევ ერთი საკითხი, – ეს არის ჟურნალისტების მხრიდან რაღაც „მთავრობების“ ჩამოყალიბება და პოლიტიკურ პროცესებში შეჭრა! ჟურნალისტის საქმე არის კონკრეტული პროცესებზე თვალყურის მიდევნება, მოვლენების გაშუქება და არა მთავრობის ფორმირება. ჩვენ ვართ პროცესის ამსახველები, გამშუქებლები და არა მონაწილენი. სწორედ ამ აღრევამ გამოიწვია, რომ ვეღარ გაგვიგია, ვინ პოლიტიკოსია, ვინ ჟურნალისტია, ვინ ანალიტიკოსია და ა. შ.

**ამ აქციებმა, რომელსაც რადიკალები საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ მართავენ, დაამტკიცა, რომ ყველაზე მეტი მაყურებელი სწორედ პირველ არხს ჰყავს! და თუ რაღაც რეიტინგებში და სკანდალებში არ ვართ ჩართული, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი მაყურებელი არის ჭკვიანი, გონიერი, გაწონასწორებული და ხარისხიან მედიაპროდუქტს მოითხოვს. ჩვენ კი ვცდილობთ, მათი მოთხოვნების შესაბამისად ვიმოქმედოთ და კიდევ უფრო ხარისხიანი პროდუქცია შევთავაზოთ ჩვენს მაყურებელს!**

ესაუბრა
**ნონა ქარქაშაძე**

# ხელოვნური ინტელექტის განვითარება და კერძო სექტორი ამერიკაში

**აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ აშშ-ში ხელოვნური ინტელექტის ინფრასტრუქტურის განვითარებაში კერძო სექტორი 500 მილიარდი დოლარის ინვესტიციას ჩადებს.**

თეთრ სახლში ბრიფინგზე დონალდ ტრამპმა პროექტ Stargate-ის დაწყების შესახებ გამოაცხადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კომპანიები OpenAI, Softbank-ი და Oracle-ი.

სამი კომპანიის ხელმძღვანელები პრეს-კონფერენციის დროს დონალდ ტრამპის გვერდით იმყოფებოდნენ.

„რისი გაკეთებაც გვინდა, არის ამის შენარჩუნება ქვეყანაში. ჩინეთი და სხვები არიან კონკურენტები. ჩვენ გვინდა ამ ქვეყანაში ყოფნა და გვინდა, ის ხელმისაწვდომი გავხადოთ. პროექტს დავეხმარები საგანგებო დეკლარაციებით, რადგან ეს საგანგებო მდგომარეობაა, ჩვენ უნდა ავაშენოთ მოწყობილობა. დასჭირდებათ ბევრი ელექტროენერგიის წარმოება. ჩვენ გავაკეთებთ ისე, რომ მისი წარმოება მარტივად შეძლონ საკუთარი სადგურებით, თუ სურვილი აქვთ“, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

როგორც მოსალოდნელია, კომპანიები პროექტში 500 მილიარდ დოლარს ჩადებენ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში.

ახალი პარტნიორობის დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

# სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა ოზურგეთში



**ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, დედით ან მამით ობოლ სტუდენტს, რომლის ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი არ აღემატება 2000 ლარს – პირველი კურსის პირველი სემესტრი დაუფინანსდება – ამის შესახებ ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ მუნიციპალიტეტის მერიის სხდომაზე განაცხადა.**

„გვაქვს კიდევ ერთი პოზიტიური ინიციატივა განათლების სფეროში: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, დედით ან/და მამით ობოლ სტუდენტს, რომლის ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი არ აღემატება 2000 ლარს – პირველი კურსის პირველი სემესტრი დაუფინანსდება 400 ლარით, ხოლო ყოველი მომდევნო სემესტრის დაფინანსება განისაზღვრება წინა სემესტრში მიღებული ქულების რაოდენობით: 71-დან 80 ქულამდე 300 ლარით, 81-დან 90 ქულამდე – 500 ლარით, ხოლო 91-დან 100 ქულამდე - 600 ლარით. ეს იქნება ის მოკრძალებული წვლილი, რასაც დამატებით ჩვენი მუნიციპალიტეტი გააკეთებს სტუდენტებისთვის“.

# მავნებელი „დიფ სთეითი“ სლოვაკეთში



**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მარიამ ლაშხი გამოეხმაურა სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის რობერტ ფიცოს განცხადებას, რომ ის არ დაუშვებს ქვეყნის განადგურებას. ფიცოს განცხადებით, სლოვაკეთის ტერიტორიაზე ექსპერტთა ჯგუფი იმყოფება, რომელიც აქტიურობდა საქართველოსა და უკრაინაში მაიდანის მოვლენების დროს.**

„ფიცოს ეს განცხადება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ არსებობს „დიფ სთეითი“, რომელსაც მცდელობები აქვს სხვადასხვა განვითარებად ქვეყანაში, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც ეროვნული ინტერესები მაღალ ნიშნულზე დგას, მოახდინოს გადატრიალება. ეს განცხადება კიდევ ერთხელ ამყარებს ჩვენ მიერ გაკეთებულ იმ განცხადებებს და კონკრეტულ ფაქტებს რევოლუციური სცენარების მცდელობებისა, რაც ჩვენთან არ გამოუვიდათ. ცდილობენ, რომ ეს სხვა ქვეყანაში გააკეთონ, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ პირველივე საათებში გადადგმული ნაბიჯები და ის დაპირება, რომ ტრამპის პირველი ამოცანა იქნება „დიფ სთეითის“ დამარცხება, მსგავსი ტიპის რევოლუციურ სცენარებს გააქარწყლებს“.

# ბათუმს კიდევ ერთი რეკრეაციული სივრცე შეემატა



**ბათუმში კიდევ ერთი ახალი სივრცე გაჩნდა, სადაც ნებისმიერი ასაკის ადამიანის დასვენებისა და გართობისთვის არის პირობები შექმნილი.** მამია ვარშანიძის ქუჩის N71-ში სრულად განახლდა და მოწესრიგდა ტერიტორია, მოეწყო ბავშვთა გასართობი, სპორტული და მოსასვენებელი ზონები, დამონტაჟდა გარეგანათებისა და სანიაღვრე სისტემები, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები და განთავსდა საპარკო ინფრასტრუქტურა.

სამუშაოებისთვის 1,5 მილიონი ლარი დაიხარჯა. პარალელურად მიმდინარეობს მამია ვარშანიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

## იენს სტოლტენბერგი:

# დასავლეთის ქვეყნებმა უკრაინა კბილებამდე უნდა შეაიარაღონ



**ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, დასავლეთის ქვეყნებმა უკრაინა კბილებამდე უნდა შეაიარაღონ.**

მისი თქმით, ალიანსის წევრ ქვეყნებში უკრაინის გაწევრებასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ არსებობს და შესაბამისად, რჩება მეორე გზა – უკრაინის მაქსიმალური შეიარაღება, რათა ქვეყანა რუსეთის აგრესიისგან დაცული იყოს.

„პირველ რიგში, ჩვენ უკრაინელები კბილებამდე უნდა შევაიარაღოთ იმიტომ რომ, თუ რამე გავაკეთეთ არასწორად, იყო ის, რომ 2014 წლიდან 2022 წლამდე ჩვენ უკრაინა არ შევაიარაღეთ“, – აღნიშნა სტოლტენბერგმა!

# მკვლელობა სკოლის სასადილოში

**აშშ-ი ნეშვილის საშუალო სკოლაში სროლის შედეგად ერთი მოსწავლე დაიღუპა, ერთი კი დაშავდა. ამის შესახებ ინფორმაციას abcnews-ი ავრცელებს.**

პოლიციის ცნობით, ცეცხლი სკოლაში 17 წლის მოზარდმა გახსნა, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

თავდასხმის მოტივი ამ ეტაპზე უცნობია.

როგორც ცნობილია, ახალგაზრდა ბიჭმა ცეცხლი ადგილობრივი დროით 11:09-ზე, სკოლის სასადილოში გახსნა.




# ეროვნული არქივი რესტავრატორთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი გახდა



**საქართველოს ეროვნული არქივი წიგნისა და ქაღალდის რესტავრატორთა საერთაშორისო ასოციაციაში (International Association of Book and Paper Conservators – IADA) გაწევრდა, რაც უწყებას რესტავრაციის სფეროში მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის, სიახლეების, ახალი ტექნოლოგიების გაცნობისა და საკუთარ საქმიანობაში დანერგვის საშუალებას მისცემს. ასოციაცია (IADA) მსოფლიო მასშტაბით წიგნისა და ქაღალდის რესტავრაციის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს აერთიანებს.**

ეროვნული არქივის ინფორმაციით, ასოციაციის წევრობა ეროვნულ არქივს შესაძლებლობას მისცემს მჭიდრო კავშირი დაამყაროს რესტავრატორთა მსოფლიო საზოგადოებასთან, მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ დაგეგმილ სემინარებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში; თანამშრომლობა გააღრმაოს პროფესიულ ორგანიზაციებთან, გაეცნოს პროფილურ გამოცემებსა და სხვა რესურსებს.

ეროვნული არქივი მუდმივად ზრუნავს რესტავრაციის ლაბორატორიის განვითარებაზე. რესტავრატორები მუშაობენ როგორც ეტრატზე, ისე ქაღალდის საფუძველზე შექმნილი ხელნაწერებისა და დოკუმენტების, წიგნების, მინიატიურების, აფიშების, ნახაზების, ფოტოების აღდგენაზე, რაც ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და ხანგრძლივად შენახვას ემსახურება.

# გერმანიაში, სკვერში მამაკაცი და ბავშვი მოკლეს

**გერმანიაში, ქალაქ აშაფენბურგის მოსასვენებელ სკვერში დანით თავდასხმის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვია.**

შემთხვევის შედეგად არიან დაშავებულებიც. პოლიციის ინფორმაციით, ორი დაშავებული კლინიკაში განაგრძობს მკურნალობას.

საქმესთან დაკავშირებით დაკავებულია ერთი ბრალდებული, 28 წლის ავღანელი მამაკაცი. ამ დროისთვის გამოძიებას სხვა ეჭვმიტანილები არ გამოუვლენია.

მომხდარის მიზეზის დასადგენად მიმდინარეობს გამოძიება.

# კახეთში ყველაზე დიდი პარკი დედოფლისწყაროშია

**2024 წელს** კახეთში ყველაზე დიდი პარკი – დედოფლისწყაროს ცენტრალური, მართლაც ულამაზესი პარკი გაიხსნა. გასული წელი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ ჩვენმა საამაყო **ლაშა ბექაურმა** მეორედ მოიგო ოლიმპიური ოქრო და სპორტის ცენტრის შენობის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი პარიზის ციდან ჩამოფრინდადა... ასევე, არხილოსკალოში გაიხსნა ლაშა ბექაურის სახელობის სპორტული დარბაზი, სადაც 130-მდე ბავშვი ვარჯიშობს და მომავალი ჩემპიონები იზრდებიან.

მიმდინარე წელს ორი თანამედროვე ავტობუსი დაინიშნა სოფელ სამრეკლოდან ჭოეთამდე და მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია. 2024 წელი მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ საპარლამენტო არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და ღირსეულად გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“.






საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის თაოსნობით, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ეზოში, როგორც უკვე ვწერდით, ულამაზესი საახალწლო ნაძვის ხე დაიდგა, მთელ სივრცეზე დამონტაჟებული იყო ინსტალაცია სხვადასხვა შთამბეჭდავი გამოსახულებებით, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა.

დედოფლისწყარო ყოველწლიურად ლამაზდება და უკეთესი ხდება. ჩვენს ბარაქიან კახეთს და სრულიად საქართველოს ვუსურვებთ ნანატრ მშვიდობას, ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს თითოეულ ქართულ ოჯახს.

**მარიკა პოპიაშვილი**




# „პუტინ, შეწყვიტე ომი, თორემ ცუდ დღეში ჩავარდები“

**როგორც უკვე ცნობილია, დონალდ ტრამპი რუსეთს და კრემლის მოკავშირეებს სანქციებისა და სავაჭრო-საბაჟო ტარიფების გაზრდით დაემუქრა, თუ მოსკოვი ომს არ შეწყვეტს. „თუ ჩვენ გარიგებას არ დავდებთ, თანაც, სასწრაფოდ, მე სხვა არჩევანი არ მრჩება, თუ არა შემოვიღო მაღალი სავაჭრო ტარიფები და დავადო სანქციები ყველაფერს, რითაც რუსეთი და მისი მოკავშირეები ამერიკაში ვაჭრობენ, — თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა თავის სოციალურ ქსელში, — „მე მინდა ვუთხრა რუსეთს, რომ მისი ეკონომიკა ინგრევა. დათანხმდით დაუყონებლივ გარიგებაზე და ეს იდიოტური ომი შეაჩერეთ“.**

**იმავდროულად დონალდ ტრამპმა იქვე მიაწერა, რომ მას „ძალიან უყვარს რუსი ხალხი და რომ მას ყოველთვის ჰქონდა კარგი ურთიერთობა ვლადიმერ პუტინთან“.**



**უკრაინაში „ბიბისის“ (BBC) კორესპონდენტის სვიატოსლავ ხომენკოს კომენტარი:**

საყურადღებოა, რომ დონალდ ტრამპის განცხადებაში უკრაინა საერთოდ არ არის მოხსენიებული. ეს შეიძლება ისეთ სიგნალად იყოს აღქმული, რომ კიევის პოზიცია არავის არ აინტერესებს და მის ბედზე მოლაპარაკების უფლება მხოლოდ „ამა სოფლის ძლიერთ“ აქვთ. თუმცა საიდუმლო შეიძლება სხვა მომენტში იმალება: იმაში, რომ სინამდვილეში აშშ-სა და უკრაინის პოზიციები ერთმანეთთან ისე ახლოს დგანან, რომ დონალდ ტრამპმა გადაწყვიტა, არ დაწვრილმანებულიყო და მკაფიოდ მიანიშნა – ერთადერთი ადამიანი, რომელზედაც დღეს არის დამოკიდებული ომის დასრულება, ეს ვლადიმერ პუტინია.

აქედან გამომდინარე, შეიძლება კიდევ ერთი დასკვნა გაკეთდეს:

ინაუგურაციის წინ კიევში ბევრი შიშობდა, რომ მსგავსი ტონალობის განცხადება – „დაეთანხმეთ, რასაც გთავაზობენ, თორემ უარესი დაგემართებათ“ – ტრამპის მიერ უფრო მეტად უკრაინის მიმართ იქნებოდა გამოთქმული, მაგრამ, როგორც ირკვევა, აშშ-ის პრეზიდენტი ზეწოლას მოსკოვზე ახდენს და პირადად ვლადიმერ პუტინზე.

კრემლს აშშ-ის პრეზიდენტის განცხადების იგნორირება არ გამოუვა. საეჭვოა, რომ სიტყვა „გარიგება“ ისეთი გამოცდილი ბიზნესმენისათვის, როგორიც დონალდ ტრამპია, მოსკოვის მხრიდან მხოლოდ გამარჯვების აღიარებას ნიშნავდეს – მით უმეტეს, როცა აშშ-ის პრეზიდენტი **„უაზრო და იდიოტური ომის გამო“, რუსეთის ეკონომიკის ნგრევაზე და კრახზე ლაპარაკობს.**

ასე რომ, რა იქნება შემდეგ? ვლადიმერ პუტინი დაეთანხმება დონალდ ტრამპის შეფასებებს და გარიგების განხილვას დაიწყებს? თუ ესკალაციას სპეციალურად გააგრძელებს და კონფლიქტი უფრო გამწვავდება?

აშშ-ის პრეზიდენტის სიტყვები, რომ, თუ რუსეთი გარიგებას არ დაეთანხმება, მის წინააღმდეგ ახალი სანქციები დაწესდებაო, ეს, ალბათ, პირველი ნაბიჯი იქნება, რომელსაც აშკარად მოჰყვება გაგრძელება დონალდ ტრამპის სტილით.

**წყარო: BBC-ის ონლაინ-ტრანსლაცია**

# ტრამპი ზელენსკის სამშვიდობო შეთანხმებაზე ხელმოწერას აიძულებს!

**ბრიტანული გაზეთი „დეილი სთარი“ (Daily Star) აქვეყნებს სტატიას სათაურით „დონალდ ტრამპი ვოლოდიმირ ზელენსკის სამშვიდობო შეთანხმებაზე ხელმოწერას აიძულებს“ (ავტორი — დენ ბრენანი), რომელშიც ბუკინგემის უნივერსიტეტის პროფესორთან საუბარია გადმოცემული.**

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:**

დონალდ ტრამპის ერთ-ერთი საკვანძო დაპირება იყო რუსეთ-უკრაინის ომის შეჩერება და მეომარ მხარეებს შორის მოლაპარაკების დაწყება – სამშვიდობო ხელშეკრულების დადების მიზნით. ასეთმა დაპირებამ დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკელი კანდიდატის არჩევნებში გამარჯვებაში და თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის დაკავებაში. თუმცა თავისი ტრაბახით განთქმულმა პოლიტიკოსმა უკვე უარი თქვა თავისი ფიცის შესრულებაზე, რომლის მიხედვით, **უკრაინის ომს იგი იმავე დღეს შეწყვეტდა, როცა თავისუფალი სამყაროს ლიდერი გახდებოდა.**

რასაკვირველია, 78 წლის პრეზიდენტს, როცა თეთრ სახლში შევიდა, დრო უქმად არ დაუკარგავს და უამრავ მნიშვნელოვან დოკუმენტს მოაწერა ხელი – შემოიღო საგანგებო მდგომარეობა აშშ-ის საზღვრებზე იმიგრაციის ნაკადის შესაწყვეტად, გამოიყვანა აშშ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან და პარიზის კლიმატური შეთანხმებიდან და შეიწყალა 2020 წლის 6 იანვარს პოსტსაარჩევნო ბუნტის მონაწილეები, რომლებიც კონგრესში (კაპიტოლიუმში) შეიჭრნენ და დაარბიეს. მაგრამ პრეზიდენტს უკრაინის ომი რატომღაც არ შეუწყვეტია.

თუმცა როგორც მსოფლიოში ცნობილი სამხედრო ექსპერტი ენტონი გლისი ამბობს ბუკინგემის უნივერსიტეტიდან „დეილი სთარ“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში, დონალდ ტრამპის სტრატეგია უკრაინის კონფლიქტის შეწყვეტაში ეტაპობრივად, ნელ-ნელა იქნება რეალიზებული: „მან ჯერ თქვა – ერთ დღე-ღამეშიო, შემდეგ უკან დაიხია და განაცხადა – ძალიან მალეო, თუმცა იქვე დაამატა – რუსეთ-უკრაინის ომის შეჩერება ღაზას სექტორზე უფრო ძნელი იქნებაო, ბოლოს კი რამდენიმე თვეშიო. როგორც ვხედავთ, დონალდ ტრამპი და მისი გუნდი დარეგულირების პერიოდს თანდათან აგრძელებდა... საბოლოოდ კი დონალდ ტრამპის სპეცწარმომადგენელმა კიტ კელოგმა თქვა „ფოქს ნიუსის“ ინტერვიუში, რომ 100 დღეა საჭირო ომის შეწყვეტისთვისო. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ამასობაში ომი ახლო აღმოსავლეთში უკვე შეწყდა – ისრაელსა და „ჰამასს“ შორის სწორედ დონალდ ტრამპის ხელშეწყობით“, – ამბობს პროფესორი.

„მე ვფიქრობ, რომ დონალდ ტრამპი შეთანხმების ძირითად დებულებებს ჯერ ვლადიმერ პუტინს შესთავაზებს (და თუ კრემლი მათზე დათანხმდება), შემდეგ იგივე ტექსტზე ხელს ვოლოდიმირ ზელენსკის მოაწერინებს და საომარი მოქმედებები გაიყინება. ვლადიმერ პუტინი შეინარჩუნებს უკვე დაკავებულ ტერიტორიებს, უკრაინა სამუდამოდ გამოემშვიდობება ნატოში შესვლის ოცნებას და თუ ალიანსის ევროპელი წევრები მოისურვებენ, ისინი უკრაინაში – ისე როგორც ბუფერულ ზონაში – განლაგდებიან იმ მიზნით და იმედით, რომ რუსეთის არმია ნატოს ქვედანაყოფებს არ შეუტევს“, – ამბობს სამხედრო ექსპერტი.

პროფესორი ენტონი გლისი აღნიშნავს, რომ დონალდ ტრამპს ვოლოდიმირ ზელენსკის „დარბილება“ სურს: იგი უნდა დათანხმდეს შეთავაზებულს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში უკრაინის პრეზიდენტი დაკარგავს იმ ქვეყანას, რომელიც, როგორც ხშირად აცხადებს ხოლმე, „მისი სამშობლოა და ძალიან უყვარს“.

როგორც ექსპერტი აღნიშნავს, ზოგჯერ აშშ-ის პრეზიდენტის მხრიდან ვოლოდიმირ ზელენსკის მიმართ საკმაო ირონია გამოიხატება: დონალდ ტრამპ-უმცროსმა (პრეზიდენტის ვაჟმა) უკრაინის პრეზიდენტს „არაადეკვატური“ უწოდა, როცა მან უარი განაცხადა ინაუგურაციაზე მიწვევაზე. არადა, სამჯერ არაოფიციალურად ითხოვა მიწვევის მიცემას.

„საერთოდ კი, ვოლოდიმირ ზელენსკის ომის გაგრძელება უნდა. (...) იგი მსოფლიოს იმის შთაბეჭდილებას უნერგავს, რომ ყველგან და ყოველთვის თავისი ხალხის გვერდზე დგას. თუ მოიგებს ომს, მოიგებს მათთან ერთად, ხოლო თუ წააგებს, ისევ მათთან ერთად წააგებს. ობიექტურად თუ ვიტყვით, იგი „არადეკვატური“ არ არის, არამედ გაბედული კაცია, რომელიც ევროპას მაგალითს აძლევს. ჩვენ, ბრიტანელებმა, ვიცით ისტორიიდან, თუ რა საშინელებაა, როცა დიქტატორი თავისი მსხვერპლის კედელთან მიყენებას ცდილობს. ჩემი აზრით, ვოლოდიმირ ზელენსკი იარაღით ფეხზე მდგომი მოკვდება, ვიდრე დაიჩოქებს“, – ამბობს პროფესორი.

რაც შეეხება სამშვიდობო შეთანხმებაზე ხელმოწერის პერსპექტივას, პროფესორი ენტონი გლისი დარწმუნებულია, რომ ის მხოლოდ ვლადიმერ პუტინისთვის იქნება მომგებიანი, ხოლო ვოლოდიმირ ზელენსკი „მოძრავ სამიზნედ“ იქცევა მთელი თავისი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში.

„უკრაინა, სავარაუდოდ, თავის სუვერენიტეტს დაკარგავს ტერიტორიების მიმართ, რუსეთი გააგრძელებს  მის საშინაო საქმეებში ჩარევას, ვოლოდიმირ ზელენსკი კრემლის „მუდმივი სამიზნე“ გახდება. თუ ბედი გაუღიმებს, იგი შეიძლება ცოცხალი დარჩეს. მაგრამ, თუ პუტინი მას მისწვდება, ვშიშობ, რომ ეს უკრაინის ლიდერის დასასრული იქნება. პუტინი მარჯვედ თამაშობს პოკერს. იგი თვლის, რომ დროთა ცვალებადობას გაუძლებს – ჯო ბაიდენი ხომ გაისტუმრა, დონალდ ტრამპსაც კიდევ ერთხელ გაისტუმრებს... ყველას ერთმანეთის მიყოლებით. გავიხსენოთ ის კომპრომატები, რომლებიც ვლადიმერ პუტინს დონალდ ტრამპის მიმართ აქვს დაგროვილი. ერთ მშვენიერ დღეს, როცა შეთანხმების დადების მომენტი დადგება, ეს ყველაფერი ამოტივტივდება...“, – ასკვნის პროფესორი ენტონი გლისი ბუკინგემის უნივერსიტეტიდან.

**წყარო: https://www.dailystar.co.uk/news/world-news/donald-trump-humiliate-zelenskyy-before-34520160**



## ზაფხულები

ქვეყანაზე საედემო სეზონია ზაფხული:
პეპლების და ფარვანების ფრთქიალი და ფახული,
ოჩორჩხონა ჩანჩქერების ჩხრიალი და ჩქაფუნი,
ცივ-ანკარა წყაროების წკრიალი და წკარუნი;

მოლივლივე ზღვაში ცურვა, მზის ფერება, რუდუნი,
სისხლში მაშხალების კიაფს ხედავ თვალდახუჭული;

ბარტყები რომ ბუდეებში ღამით დაჟივჟივებენ,
შემდეგ დაფრთიანებულნი ზეცას დაყიჟინებენ;

მაყვალი რომ ცვარს დაისხამს, გოგრაბალი ბრიალებს,
ბაღ-ვენახში და ყანაში უფლის თვალი ტრიალებს;

მშობლები რომ ცოცხლებია, ბებია და ბაბუა,
ოდაში კი ბუდეში ხარ როგორ ჩიტი ღაბუა;

თამაშ-თამაშ დაძინება, თამაშ-თამაშ ღვიძილი,
ნამგალებსაც კი აოცებთ ბავშვთა ჟივილ-ხივილი;

მთლად დუნია სანავარდო, საყიჟინო გგონია –
ნეტავ იმ ზაფხულისდარი ღმერთს რა მოუგონია?!

როცა წამოჭაბუკდები, უნაბულებ ქალწულებს,
კოცნასაც რომ მოუნდომებ და რომ გაგილაწუნებს;

ყმაწვილობის ნექტარს როცა ღვინო შემოერევა,
ჭირში-ლხინში რომ გეძმობა ვაზით ქვეყნიერება;

მთაში ხარ თუ ბარში, ზღვაში – ყველა გეზღაპრულება,
ზამთარშიაც ივლისს ნატრობს გული, გეზაფხულება;

ჰოი, თვალ-მარაგალიტებო მზის ოქროვან გობისა,
ყვავილნარა ზაფხულებო ჩვენი წუთისოფლისა.

## ზაზა ქინქლაძე
### არნახულად ახლოსა ვართ ახლა მე და უფალი...




## მთვარე აივანზე

აივანზე ბადრი მთვარე, ოვალური ნათელი,
ეს ვარსკვლავი წყდება ციდან თუ ფრენს ციცინათელი?

არემარე გაუვსიათ შუქურსხივთა ბილილებს,
გულში ყვავის სიმშვიდე და სიხარული ლივლივებს.

არც წარსული, არც მერმისი, რაღაც უსასრულია,
განთიადის, ზეცის გახსნის მსგავსი სასწაულია.

ო, ფერადო პლანეტებო, მთელ სამყაროს უხდებით
ერთმანეთზე ორბიტებით გადაბმული ბურთები.

არნახულად ახლოსა ვართ ახლა მე და უფალი.
არც კი მახსოვს, როდის ვიყავ ასე თავისუფალი.

აივნიდან თვალს მიხარებს მზისწული და ორანი –
ვარსკვლავების ზღვაში ცურავს მთვარის თეთრი ბორანი.

## სახლები

კაცთა დარად დიდად სხვადასხვაობენ
შენობები მაღლები თუ დაბლები,
აგურობენ, ძელურობენ, ქვაობენ,
ვინ დუმილით გხვდება და ვინ სალმებით.

არის სახლი გალავნის მუზარადით,
ავად მზირალ, შავი სათოფურებით,
ვინ გპატიჟებს მარნამდი და ზვარამდი,
ვინ გიბღვერის როგორც ჭაგში ტურები.

სრასასახლე, კოშკებია იმგვარი,
ლამის ლაჟვარდს სამსჭვალივით მიესოს,
თითქოს ღმერთის სამყოფელი ის არის,
თითქოს ამით აოცებენ იესოს.

მე მეტრფე ვარ გამქრალ ოდა-სახლების,
ბოკონებით, რიკულ-ჭრელოებითა,
თვალს ვიხარებ აივნების სახებით,
როგორც ზეცას მიკრულ წეროებითა.

აივანი ღიმილია სახლისა,
რიკულების მწკრივი – კოხტა კბილები,
ფანჯრებს – თვალებს აელვებენ ხალისად,
კრამიტების ქოჩორ გადაყრილები.

შემომხარის ოდა, შემომჭრიალებს
ორი კარის – ორი ხელის გაშლითა,
ღარისწყალი იქვე შემომწკრიალებს,
ჭა მოელის ჩემს ჩახედვას კვლავ მშვიდად,

მეტრფე ვარ და მორუდუნე-ნატრული
ბებო-ბაბუს ძველი ბუხრის მაშხლების,
აივანზე სულ მთვარე მაქვს ჩართული,
ცას ვუმზერ და თითქოს, თითქოს ვბავშვდები.

## კონკურსი „ერის ათეული“

არ დაგასახელეს ერის ათეულში,
მაგრამ შენ გული არ გაიტეხო,

ზღვა სისხლით, ოფლით მამულის გუთნეულში
შენ მუდამ წერიხარ, ქართველო გლეხო,

შენ ხარ ვით ხორბალი ყანის ანეულში,
ვაზი ხარ ვენახისა, არ აიჩეხო!

შენთან ვერავინ ვერ მოვა ახლო,
ზეაღმატებულო, უბრალო ხალხო!

უთქმელო, ერთგულო, ძმაო საყვარელო,
ღმერთს ებარებოდეთ შენ და საქართველო!

# ბექა დავითულიანი იმერეთში



**კულტურის მინისტრის მოადგილე ბექა დავითულიანი საჩხერეში, სოფელ სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმს, ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, ვანში, სოფელ ჭყვიშში, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმსა და ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალს ეწვია.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ბექა დავითულიანმა დაათვალიერა აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი, გაიცნო ხელმძღვანელობა, თანამშრომლები და არსებული პრობლემების მოგვარებაში სამინისტროს მხარდაჭერას დაჰპირდა.

მინისტრის მოადგილე გაეცნო ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის რეაბილიტაციის პროცესსაც. როგორც თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა აღნიშნეს, თეატრის რეაბილიტაცია გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. სამუშაოების ღირებულება 13 500 000 ლარია, იგი შენობის სრულ რეაბილიტაციას მოიცავს და მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება.

ბექა დავითულიანი გაეცნო ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს. აღინიშნა, რომ თეატრის შენობა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. თეატრის რეაბილიტაცია წელს დაიწყება. ბექა დავითულიანმა მადლობა გადაუხადა თეატრის კოლექტივს ენთუზიაზმისათვის, რომელსაც საქმიანობისას ავლენენ და მომავალი თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოხატა.

კულტურის მინისტრის მოადგილემ დაათვალიერა ვანში გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმები. გაეცნო ინფრასტრუქტურულ გამოწვევებსა და პრობლემებს. ბექა დავითულიანი სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს არსებული პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა.

ბექა დავითულიანმა ასევე გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებთან. მინისტრის მოადგილემ დაათვალიერა მუზეუმ-ნაკრძალის სივრცეც.

# რატომ გახდა მზე ცისფერი?

## მეცნიერებმა ამოხსნეს საიდუმლო, რომელიც, დაახლოებით, 200 წლის წინათ მოხდა

**თითქმის** 200 წლის წინ მზემ შეიცვალა ფერი, რამაც გამოიწვია ორი წლის განმავლობაში უკიდურესად ცივი ამინდი მთელ მსოფლიოში. დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერებს სჯეროდათ, რომ ეს უცნაური ეფექტი ამოფრქვევის გამო მოხდა, მაგრამ მათ ზუსტად ვერ დაადგინეს, რომელმა ვულკანმა გამოიწვია ეს, წერს IFLScience .

აღნიშნულია, რომ „იდუმალ ამოფრქვევას“ მოჰყვა ხანმოკლე სიცივე, რომელიც მოხდა 1831-1833 წლებში, რამაც შეამცირა საშუალო ტემპერატურა დაახლოებით 1°C-ით.

ამის შესახებ გერმანელმა კომპოზიტორმა, ფელიქს მენდელსონმა 1831 წლის ზაფხულში ალპებში მოგზაურობისას დაწერა: **„უდაბნოს ამინდი – ისევ წვიმდა მთელი ღამე და მთელი დილა, ზამთარივით ცივა, მახლობელ ბორცვებზე უკვე ღრმა თოვლია.“**

ასევე 1831 წლის აგვისტოში, მთელი მსოფლიოდან დაიწყო ცნობები, რომ მზე გახდა **„ლურჯი, იისფერი და მწვანე**“. ეს ფენომენი, სავარაუდოდ, ვულკანური მტვრისა და გაზების გამო მოხდა, რომლებიც მზის შუქს უჩვეულო გზით ფანტავდა.

**„იყო ვარაუდი, რომ ამოფრქვევა მოხდა ვულკან ბაბუიან კლაროზე, ფილიპინებზე ან ფერდინანდეას ვულკანზე სიცილიის მახლობლად, მაგრამ ახალმა კვლევამ სულ სხვა ტერიტორია გამოავლინა. მეცნიერებმა შეაგროვეს დამაჯერებელი მტკიცებულება, რომ ვულკანი ამოიფრქვა ზავარიცკის კალდერიდან დაუსახლებელ სიმუშირის კუნძულზე. ეს არის კურილის კუნძულების ნაწილი რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიიდან არც თუ ისე შორს.**

ისინი ამ დასკვნამდე მივიდნენ ყინულის ბირთვის ნიმუშების გეოქიმიური ანალიზის გამოყენებით.

**„ჩვენ გავაანალიზეთ ყინულის ქიმია ძალიან მაღალი დროის გარჩევადობით. ამან საშუალება მოგვცა, ზუსტად გაგვეგო ამოფრქვევის დრო 1831 წლის გაზაფხულზე/ზაფხულის ჩათვლით, დავადასტუროთ, რომ ის ძალიან ფეთქებადი იყო, შემდეგ კი ნაცრის პაწაწინა ფრაგმენტები ამოგვეღო**“, – თქვა ერთ-ერთმა მეცნიერმა.

მკვლევრები თვლიან, რომ, თუ დღეს 1831 წლის მსგავსი ამოფრქვევა მოხდება, ის საკმაოდ დიდ აღშფოთებას გამოიწვევს.



◎ ოქტაგონზე

# ელიტურ ხუთეულში!



**ლოს ანჯელესში ნათლისღების დღეს UFC311-ის ფარგლებში დაღესტნელ უმარ ნურმაგომედოვთან მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გამარჯვების მოპოვების შემდეგ (48:47, 49:48, 48:47) მერაბ დვალიშვილმა უმსუბუქეს წონაში ჩემპიონის ქამარიც შეინარჩუნა და, რაც არანაკლებ პრესტიჟულია, წონითი კატეგორიისგან დამოუკიდებლად, ორგანიზაციის საუკეთესო მებრძოლთა რეიტინგშიც დაწინაურდა, სადაც ტოპ-ხუთეულში 2 ქართველია(!), პირადი ბიუჯეტი კი 500 ათასი დოლარით, პლიუს 50 ათასი დოლარის ბონუსით, გაიმდიდრა.**

**1. ისლამ მახაჩევი (რუსეთი). 2. ჯონ ჯონსი (აშშ). 3. ალექს პერეირა (ბრაზილია). 4. ილია თოფურია. 5. მერაბ დვალიშვილი.**

აქვე ერთ საინტერესო ბრძოლისწინა „სპორტულ აფერისტობასაც" გაგაცნობთ, რომელიც თვით მერაბმა გაამჟღავნა: **„კალიფორნიაში ძალზე მკაცრი ათლეტური კომისიაა, რომელმაც ხუთშაბათს თითქმის მთელი სხეული შემიმოწმა. როცა ფეხის ჩვენება მთხოვეს, მარცხენაზე ავიწიე შარვალი და ვაჩვენე, კომისიის წევრი კი ტელეფონზე საუბრით იყო გართული, ხოლო როცა მეორის ჩვენება მთხოვეს, ისევ მარცხენა ვაჩვენე, რითაც დავმალე, რომ მარჯვენაზე ნაკერები მედო".**

◎ ოვალური ბურთი

# მე-17 გაელვების წინ

**პარს მოგვადგა 2027 წლის ავსტრალიის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი – რაგბი ევროპის 23-ე ჩემპიონატი, რომელიც საქართველოს 16-ჯერ(!) აქვს მოგებული, აქედან ზედიზედ 7-ჯერ – ბოლო წლებში, რუმინეთს – 5-ჯერ და პორტუგალიას – 1-ხელ.**

ბუნებრივია, ასეთი სტატისტიკის შემდეგ არაა გასაკვირი, რომ ბორჯღალოსანთა ინგლისელმა თავკაცმა **რიჩარდ კოკერილმა** ბრძოლებში გამობრძმედილ ძველ გვარდიასთან ერთად გამოძახებულ 37 რჩეულში 8 დებიუტანტს უხმო (21 მორკინალი, 16 ხაზის მოთამაშე).

ესენი არიან კვაჭი ირაკლი ქვათაძე, ბურჯი ბაჩუკი ჭუმბაძე, მეორეხაზელები თემურ წულუკიძე და დავით ლაგვილავა, ცენტრი გიორგი ხაინდრავა, ფრთეები შალვა აფციაური, ამირან შვანგირაძე და ფულბეკი დაჩი პაპუნაშვილი.

**საქართველოს ნაკრების კალენდარი.**

**1 თებერვალი** – შვეიცარიასთან (ავჭალა).

**8 თებერვალი** – ნიდერლანდებთან (ავჭალა).

**16 თებერვალი** – ესპანეთთან (სტუმრად).




◎ ტატამზე

# პარიზით ვიწყებთ



**საფრანგეთის დედაქალაქი 1-2 თებერვალს ძიუდოში სეზონის პირველ ტოპ-ტურნირს, პარიზის გრანდ სლემს უმასპინძლებს, სადაც საქართველოს 14-წევრიანი ნაკრები რამდენიმე ლიდერის გარეშე ნახევრად ექსპერიმენტული შემადგენლობით იასპარეზებს (მთავარი მწვრთნელი – ლაშა გუჯეჯიანი).**

**კაცები:** ჯაბა პაპინაშვილი (60), ვაჟა მარგველაშვილი, თემურ ნოზაძე (66), ლაშა შავდათუაშვილი, მიხეილ ბახბახაშვილი (73), ზაურ დვალაშვილი, კოტე კაპანაძე (81), ლუკა მაისურაძე, ნიკა ხარაზიშვილი (90), ნიკოლოზ ზაალიშვილი (100), საბა ინანეიშვილი, ირაკლი დემეტრაშვილი (+100).

**ქალები:** ეთერ ლიპარტელიანი (57), სოფიო სომხიშვილი (+78).

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ წინასაოლიმპიადე პარიზულ გრანდ სლემზე 13 ჯვაროსნიდან ერთადერთ ვერცხლს გიორგი ჩიხელიძე (73) დაეუფლა.

◎ ევროლიგა

**აქამდე ქართულ საკალათბურთო სამწვრთნელო სკოლას ევროლიგაში მხოლოდ მანუჩარ მარკოიშვილი წარმოადგენდა, რომელიც მონაკოს თავკაცის ასისტენტი გახლავთ. სიამაყით გაუწყებთ, რომ ამიერიდან იმავე პოზიციაზე მისი ახალგაზრდა კოლეგის ანდრო ანთელაძის გულშემატკივრობა მოგვიწევს, რომელიც მოღვაწეობას ბალტიისპირეთში შეუდგა.**

# მანუს კვალზე



**ჯერ იყო ფიბას ყველაზე ახალგაზრდა სერტიფიცირებული მწვრთნელი, შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეორე მწვრთნელი. პარალელურად მუშაობდა ლიეტუვაში ზეპოპულარული კაუნასის ჟალგირისის ახალგაზრდული გუნდის დამრიგებლად და ახლა უკვე ევროლიგის მონაწილე ამ დიდი ისტორიის მქონე კლუბის მთავარი მწვრთნელის ასისტენტია –** გვამცნობს პერსპექტიული სპეციალისტის დედა, მომღარალი და ტელეწამყვანი თიკა ფაცაცია.

წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს თანამემამულეს.

◎ კორტზე

# ჯერ ადრეა

**გევრმა** ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალი **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და **კარლოს ალკარასს** შორის ჩოგბურთის წარსულსა და მომავალს შორის ბრძოლად მონათლა, მაგრამ, ეტყობა, ისინი აჩქარდნენ, რადგან დიდი მუზარადის ტურნირების 24-გზის გამარჯვებულმა სერბმა ვეტერანმა ტრავმის მიუხედავად 4 პარტიაში დაამარცხა მრისხანე ესპანელი თინეიჯერი, პირად შეხვედრებში კიდევ უფრო გაზარდა მასთან დადებითი ბალანსი – 5:3 და, რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავია, ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში 50-ედ(!) გავიდა სლემების ნახევარფინალში.



**„ნახევრად ხუმრობით შეიძლება ითქვას, რომ 2 ხელითა და ერთნახევარი ფეხით გავიმარჯვე. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ეპიკური მატჩი, რომელშიც ოდესმე მიმიღია მონაწილეობა. დარწმუნებული ვარ, კარლოსს კორტზე უფრო დიდხანს მივადევნებთ თვალს, ვიდრე ჩემ შემთხვევაში"** – ასეთი კომენტარი გააკეთა მარათონის შემდეგ ნოლემ, რომელსაც 25-ე ტიტულისკენ მიმავალ ბილიკზე ხვალ გერმანელი ალექსანდრ ზვერევი გადაეღობება.

◎ ჩემპიონთა ლიგა

# გზა მაღალი საზოგადოებისკენ

**ელიტური ევროპის დედაქალაქში რომ საფეხბურთო ბომონდიც იკრიბება, კარგად გამოჩნდა ჩემპიონთა ლიგის ახალი ფორმატით გამართული პირველი რაუნდის ბოლოსწინა ტურში, როცა ხვიჩა კვარაცხელიას თვალწინ პარკ დე პრენსის ვიპლოჟაში უეფას სლოვენიელ პრეზიდენტ ალექსანდრ ჩეფერინის თამადობით ისეთი თვალსაჩინო პერსონები შეიკრიბნენ, თაობათა კერპებს რომ ვეძახით და დარწმუნებულნი ვართ, საამაყო კარიერის დასრულების შემდეგ მათ რიგებს ჩვენი ვარსკვლავბიჭუნაც შეუერთდება.**

რაც შეეხება თვით სენ-ჟერმენისა და სიტის მატჩს, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ლუის ენრიკე მასპინძლებს პროგრესულ ფეხბურთს ათამაშებს და კვარას განვითარებას პარიზში გატარებული პერიოდი სასიკეთოდ უნდა წაადგეს. სხვაგვარად ძნელია ტაქტიკურ დუელში ისეთი სტრატეგის დაჩოქება, როგორიც პეპ გვარდიოლაა.

არანაკლებ მრავლისმეტყველია ის კონკურენცია, დემბელე რომ ბრძოლაში სათადარიგოთა სკამიდან ერთვება და კიდევ ერთ გამოკვეთილ ინდივიდუალისტთან – ბარკოლასთან ერთად სტუმართა რბევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს – 0:2-ის შემდეგ 4:2, თანაც ეს ყველაფერი შესვენების შემდეგ თავსხმა წვიმაში მოხდა. ესეც ხვიჩასათვის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი – ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება გაათმაგებული ოფლისღვრით უნდა დაიმსახუროს.

წინა დღეს კიდევ უფრო სასწაულებრივად განვითარდა მოვლენები ესპანური გრანდების მიერ დადგმულ სპექტაკლებში – ბარსელონამ ლისაბონში ბოლო 15 წუთში შეუტრიალა 2:4 ბენფიკას – 5:4, ხოლო ატლეტიკომ მადრიდში 10 კაცით გამოგლიჯა გამარჯვება მრისხანე ლევერკუზენს – 0:1-დან 2:1.

სიმბოლურია, რომ ხვალ 21 საათზე ნაპოლი – იუვენტუსია, 24 საათზე კი საფრანგეთის დედაქალაქში კვარტანიანის (ესეც ახალი ზედმეტსახელი) დებიუტია: პარი სენ-ჟერმენი – რეიმსი.

**სატურნირო მდგომარეობა ბოლო ტურის წინ:** ლივერპული – 21, ბარსელონა – 18, არსენალი, ინტერი – 16, ატლეტიკო, მილანი – 15, ატალანტა – 14, ლევერკუზენი, ასტონ ვილა, მონაკო, ლილი, ბრესტი, ფეიენოორდი – 13, დორტმუნდი, ბაიერნი, რეალი, იუვენტუსი, სელტიკი – 12, ეინდჰოვენი, ბრიუგე – 11, პარი სენ-ჟერმენი, ბენფიკა, სპორტინგი, შტუტგარტი – 10, სიტი, ზაგრების დინამო – 8, შახტარი – 7, ბოლონია – 5, სპარტა – 4, ლაიფციგი, ჟირონა, ცრვენა ზვეზდა, შტურმი, ზალცბურგი – 3, სლოვანი, იანგ ბოიზი – 0 ქულა.

## არდავიწყება

# „ესე კაცი ჭეშმარიტი ქართველ არს“



გარდაიცვალა **ანზორ ბრეგაძე!** **საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.**

აი, როგორ ახასიათებენ მას კოლეგები:

**„ანზორ ბრეგაძის ხიბლი და ფენომენი“ – მიხეილ მახარაძე; „ადამიანთმცოდნეობის მადლიანი მესიტყვე“ – გადრი ფორჩხიძე; „სულის რაინდი“ – მედეა შანავა.**

ანზორ ბრეგაძე გახლდათ სრულყოფილება ადამიანისა. ღვთისგან და წინაპრებისგან მომადლებული ჰქონდა ფიზიკური და სულიერი სილამაზე, ძლიერი გონება, სხვაგვარი ხედვა და არსის წვდომის, გაგების, ფილოსოფიურად რთულის მარტივად ახსნის უნარი... პოეტური აზროვნება და მხატვრის მსგავსად წვრილმანებში, სტრიქონშუა ჩამალულის ამოკითხვის ნიჭიერება... მასთან საუბარს არაფერი სჯობდა. გაგათამამებდა სისადავითა და უბრალოებით, თანასწორად გრძნობდი თავს!

მის ნაშრომთა ჩამონათვალი დიდია... გამოვარჩიე „სიბრძნის აპოლოგია“ და „მარადიული სიბრძნე“ მისგან ნაჩუქარი. მრავალგზის მაქვს წაკითხული. ჩემდა გასაოცრად (ფილოსოფიურად შორსმდგომი), დაუღლელად, სულისლევით წავიკითხე... მნიშვნელოვანი ფრაზები ჩემთვის, ფანქრით მონიშნულ-მოხაზული და დასამახსოვრებელი მუდმივ საკითხავ წიგნებად მექცა! – ასე გვალამაზებდა ეს დიდებული ადამიანი და უდიდესი ღირებულებებით ამდიდრებდა ჩვენს ცხოვრებას. სიცოცხლეშივე დაფასდა მისი ღვაწლი, იუბილე დიდი პატივით აღუნიშნეს, ეთაყვანებოდნენ სტუდენტები და კოლეგები.

ანზორ ბრეგაძე ეროვნული ცნობიერებით დატვირთული, დღენიადაგ სამშობლოზე მოდარდე გახლდათ; მის მაჯისცემას გრძნობდა ყოველწამიერ, აქტიურად ეხმაურებოდა მოვლენებს... საქართველოდან უცხოეთში მყოფს მეხმიანებოდა სამშობლოს ბედზე საუბრით.

დიდი დანაკლისია ანზორის გარდაცვალება ჩვენი დიდი, მრავალრიცხოვანი ოჯახისთვის.

...55 წელი გასრულდა ანზორის და ჩვენი კუსას დაქორწინებიდან. წარმოუდგენლად ლამაზები იყვნენ „დედაა, რა იყო ეს“... ლამაზად იცხოვრეს, სრულ თანხმობასა და თანადგომაში, ერთმანეთისადმი სიყვარულსა და პატივისცემაში... ორი უკარგესი შვილი აღზარდეს, არაჩვეულებრივი რძლითა და სიძით დამშვენდნენ, საოცრება შვილიშვილებით მომრავლდნენ და აი, ასე ვალმოხდილი ოჯახისა და სამშობლოს წინაშე, გადაბრძანდა მარადისობაში! უფლისკენ მიმავალს გაუადვილდეს სავალი გზა!

გმადლობ, გმადლობ და გმადლობ, ბატონო ანზორ!

**დოდო თელია**

# ვახტანგ ნანიტაშვილი



77 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, საქართველოს რადიოს ყოფილი გენერალური დირექტორი **ვახტანგ ნანიტაშვილი.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვახტანგ ნანიტაშვილი მუშაობდა საქართველოს ტელერადიო მაუწყებლობაში და გაიარა გზა რედაქტორიდან რადიოს გენერალურ დირექტორობამდე. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს რადიოს პოპულარული გადაცემის „პიკის საათის“ დაარსება, რომელიც დღესაც პოპულარულია საზოგადოებრივი რადიოს ეთერში.

ვახტანგ ნანიტაშვილი იყო საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, დაჯილდოებული იყო ღირსების მედლით. არის ავტორი წიგნისა „საქართველოს რადიოს ხმოვანი მატიანე“.

საქართველოს პირველი არხი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ვახტანგ ნანიტაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და ახლობლებს.

# ნანუკა ჟორჟოლიანი 5000 ლარით დააჯარიმეს



**თბილისის** საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მანუჩარ ცაცუამ ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო და 5000 ლარით დააჯარიმა.

ჟურნალისტს 2025 წლის 3 იანვარს გზის ხელოვნურად გადაკეტვას ედავებოდნენ

ნანუკა ჟორჟოლიანს სამართალდამცავი უწყება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174-ე პრიმა მუხლის მეოთხე ნაწილის დარღვევას ედავებოდა, რაც ადმინისტრაციულ სახდელს 5 000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით ითვალისწინებს.

დღევანდელ სასამართლო პროცესზე ნანუკა ჟორჟოლიანმა მოსამართლის აცილება მოითხოვა, თუმცა მანუჩარ ცაცუამ მისი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

## ხელოვნება

# კაცი, რომელიც სიცოცხლეს გვიადვილებდა და გვილამაზებდა!



**კიდევ ერთი გულანთებული ქართველი და საძმოში გამორჩეული წევრი დააკლდა საქართველოს. უშანგი დალალიშვილი ერთი ალალმართალი, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, ლამაზი ოჯახის თავკაცი, საქმეში პროფესიონალი, ხელოვანი კაცი გახლდათ. ორიოდე წლის წინ 85 წლის საიუბილეო თარიღი გადაიხადა და მთელი დიდი სამეგობრო და სანათესაო გააკვირვა თავისი ნიჭით, ახალგაზრდული ენერგიითა და უსაზღვრო სიყვარულით, რაც ბავშვობიდანვე მოსდევდა.**

**უყვარდა ხუმრობა – მთელი ოჯახი ინჟინრებით გავავსეო – მეუღლეც, ქალბატონი ნანული ბერიშვილი, ვაჟი – პაატა და ქალიშვილი მაკაც ინჟინრები არიან, თავადაც მთელი ცხოვრება საინჟინრო საქმეს შეალია. ეამაყებოდა მრავალშვილიანი ოჯახის უფროსი ვაჟი რომ გახლდათ – შვიდი ძმა და ორი და იზრდებოდა დალალიშვილების ოჯახში, როგორც უფროსი და ადრე დაობლებული ბიჭი თავად იყო მათი მფარველი და გზის გამკაფავი.**

**ხელოვნებაზე მოგახსენებთ – ლეგენდარული სუხიშვილების ანსამბლის წევრიც გახლდათ და დღესაც ახსოვთ უფროსი ასაკის ხალხს მის მიერ ვირტუოზულად შესრულებული სოლო დოლის თანხლებით. შესაშური იუმორის პატრონი და უდიდესი სითბოს მატარებელი კაცი გამოგვაკლდა საძმოს.**

**ამ რამოდენიმე წლის წინ, მესხეთში, მშობლიურ სოფელ სვირში, წმინდა ნიკოლოზის სახელზე მშვენიერი ტაძარი ააგო. ტაძრის კურთხევის დღე უდიდეს ზეიმად გადაიქცა სოფელში. ყოველდღე რეკავს ტაძრის ზარი ნიშნად და შეგონებად იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს, იღვაწოს ყოველმა ადამიანმა ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ უკეთილშობილესი კაცის სული, რომელიც თავის გვერდში დგომითა და დახმარებით ცხოვრებას გვიადვილებდა და სიცოცხლეს გვილამაზებდა. მშვიდობით ძმაო!**

**უახლოესი მეგობრები**

---

**აწგარდაცვლილი თენგიზ კალანდაძის მეუღლე ფოთოლა კალანდაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება ოჯახის უახლოესი მეგობრის**

**უშანგი დალალიშვილის**

**გარდაცვალებას. თანაგრძნობას უცხადებს მეუღლე ნანული ბერიშვილს, შვილებს მაკა და პაატა დალალიშვილებს ამ უკეთილშობილესი ადამიანის გარდაცვალების გამო.**

# ოკუპირებულ გაგრაში უბედურ შემთხვევას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა!

**გავრცელებული** ინფორმაციით, ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტექნიკა და მუშები დაიქირავა, რათა სადრენაჟო სისტემა გაეთხარათ. მოგვიანებით, ის ორ მეგობართან ერთად ამოჭრილ ორმოში, სამუშაოების დასათვალიერებლად ჩავიდა, რა დროსაც, მიწა ჩამოიშალა.

ადგილზე „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური“ გამოიძახეს, თუმცა სამივე კაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა. გარდაცვლილი იპოვეს!..




# ბრალდება პოლიციელების სიცოცხლის მოსპობის მცდელობის ფაქტზე!

**საქართველოს** პროკურატურამ პოლიციელების სიცოცხლის მოსპობის მცდელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 20 იანვარს, ღამის საათებში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში შევიდა შეტყობინება ქ. ბათუმში, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთან დაკავშირებით.

„შეტყობინების საფუძველზე, ადგილზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს სამი პატრულ-ინსპექტორი გამოცხადდა. ბრალდებული პოლიციელებს სიცოცხლის მოსპობის მიზნით, მოულოდნელად, დანით თავს დაესხა და სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა.

სამართალდამცავებმა ბრალდებული 21 იანვარს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-353-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით (პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით სიცოცხლის მოსპობის მცდელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების და სტაციონარულ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ბრალდებულის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების მოთხოვნით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“.




# აბა, ჩარგლისკენ!

**მიხა ხელაშვილს**

შენ უფალთან ხარ —
ქვეყნისათვის თავდადებულო,
ეგრეთ წოდებულ „დღეგრძელობაში“
ნეტავ რა ჭირია?
საუკუნის წინ ვერაგულად გამეტებულო,
აწ შენი გზები ია-ვარდით მოფენილია!
ჩრდილოეთიდან ძველებურად ქარი ქრის ისევ,
მტრედი მოსულა ჩემს ფანჯარასთან და მიხარია,
განა უცხოა — დიდი ხანია დავიძმობილე,
თითქოს მახსენებს — „დღეს ოცდახუთი იანვარია“!
აჰა! სამოცი წელიწადი გავიდა ისე,
არ მავიწყდება, როდის გავიგე შენი სახელი,
უნივერსიტეტთან, ცნობილ ფიჭვებთან,
პურ-ღვინო გვქონდა მცირეზე მცირე, —
გადიდებდნენ ნაღდი კაცები!
„ბრალად სამშობლოს სიყვარული წაუყენესო“ —
ზვიადმა დარდით შეახსენა შოთა ჩანტლაძეს,
ამის გამგონეს, წამსვე რისხვით გული აღმევსო, —
უსიყვარულოდ შობილებზე,
ვინაც სიცოცხლე არ დაგაცალეს!
მტრედი მოსულა ჩემს სარკმელთან
და მიკაკუნებს,
არვის ეგონოს, რომ მოშივნია!
ბედისწერის კარგად მცოდნე ჩამომღუღუნებს
— აბა, ჩარგლისკენ!
დღეს ოცდახუთი იანვარია!
მწამს და მჯერა! —
საქართველოს დაიქუხებს, —
მამულიშვილობა
ის დღეც დადგება!
ქანდაკი შენი, საარაგვოზე,
მთელი დიდებით აღიმართება!



**ჯემალ დავლიანიძე**
2025 წ. 20 იანვარი

# მერაბ ნინიძე ოსკარზე




**მსახიობი მერაბ ნინიძე მსოფლიო კინოსამყაროს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ დაჯილდოებაზე – ოსკარზეა წარდგენილი. რეჟისორ ედვარდ ბერგერის ფილმში „პაპის კონკლავი“ მერაბ ნინიძე რალფ ფაიენსთან, სტენლი ტუჩისთან, იზაბელა როსელინისთან და ჯონ ლიტგოუსთან ერთად თამაშობს.**

# გერმანიაში აღმოჩენილი საქართველოს უნიკალური რუკა




**საქართველოს უნიკალური რუკა გერმანიაში გოტინგენის ბიბლიოთეკაშია აღმოჩენილი.**

დღემდე უცნობ ფრანგულ რუკაზე აღნიშნულია საქართველო 1920 წლის მონაცემებით – „ერთა ლიგის“ მიერ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. საქართველოს საზღვრები ნაჩვენებია სოჭიდან ზაქათალამდე და ვლადიკავკაზიდან ვიდრე ტრაპიზონამდე.

# ოზურგეთში ანზორ ერქომაიშვილის ძეგლი განთავსდება



**ავთანდილ თალაკვაძე: ოზურგეთში ღვაწლმოსილი ქართველი მუსიკოსის, ფოლკლორისტის და კომპოზიტორის ანზორ ერქომაიშვილის ძეგლი განთავსდება.**

„ძვირფასო თანამოქალაქეებო, მინდა გითხრათ, რომ თქვენი მომართვის და თხოვნის გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება ოზურგეთში, ზ. გამსახურდიას მოედანზე („ჭადრების ბაღი“) ღვაწლმოსილი ქართველი მუსიკოსის, ფოლკლორისტის და კომპოზიტორის, ჩვენთვის საამაყო ოზურგეთელის, ბატონი ანზორ ერქომაიშვილის ბიუსტის განთავსების თაობაზე. ამ ინიციატივით უკვე მივმართე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პროექტის განხორციელება დაიწყო.

# თელაველი პედაგოგის ზეინაბ კაკალაშვილის აღიარება

**თელაველი პედაგოგი გლობალური მასწავლებლის ჯილდოს მფლობელი გახდა.**

გლობალური მასწავლებლის 2024 წლის პრესტიჟული ჯილდო თელავის N5 საჯარო სკოლის „მე და საზოგადოების“ და სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ზეინაბ კაკალაშვილმა მიიღო.

მასწავლებლის გლობალური ჯილდოს 2024 წლის კონკურსი დუბაიში ჩატარდა და თელაველი პედაგოგი 65 ქვეყნის 1486 წარმომადგენლიდან, 50 საუკეთესო პედაგოგს შორის მოხვდა.

ზეინაბ კაკალაშვილი, 34 წელია პედაგოგიურ საქმიანობას თელავის საჯარო სკოლებში ეწევა. გლობალური მასწავლებლის ჯილდოს 2015 წლიდან, ვარკის ფონდი გასცემს და მისი რაოდენობა, ყოველწლიურად 1 მილიონ დოლარს შეადგენს.



# ნაგვის ტომარაში 2000 წლის ქანდაკება იპოვეს!

**საბერძნეთში თესალონიკთან ახლოს ნაგვის ტომარაში ჩაგდებული ქალის მარმარილოს ქანდაკება იპოვეს. ნამუშევარი 2000 წელზე მეტი წლისაა.**

The Independent-ის ცნობით, ადგილობრივი მცხოვრები ნაგვის ურნის გვერდით ქანდაკებას წააწყდა და მაშინვე შეატყობინა ხელისუფლებას.

ექსპერტები თვლიან, რომ ქანდაკება თარიღდება ელინისტური პერიოდით (ძვ. წ. 320-30), ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობის შემდეგ მნიშვნელოვანი მხატვრული და კულტურული ზრდის დრო.

პირველადი შეფასების შემდეგ, არქეოლოგებმა დაადასტურეს ქანდაკების ელინისტური წარმომავლობა.

პოლიციამ დაიწყო გამოძიება იმის დასადგენად, თუ ვინ გადააგდო ქანდაკება. მათ დააკავეს მამაკაცი, რომელიც დაკითხეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს.

საინტერესოა, რომ შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები შედარებით გავრცელებულია საბერძნეთში, ქვეყანაში, რომელიც ცნობილია თავისი უძველესი მემკვიდრეობით და ხშირად კეთდება შენობების ან საზოგადოებრივი სამუშაოების მშენებლობის დროს.



საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 27 იანვარს**